ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა"+ კეისრები **8 ლარი** 26 ივლისიდან




ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2011 №182 (5563 ) ფასი: 30 თეთრი

# რატომ არ უჯერებს მთავრობა სინოდს

მამუკა გიორგაძე: „საქართველოს ეკლესიამ ხელისუფლებას რუსული ბატონობის 299-წლიანი პერიოდის უკანონოდ გამოცხადება მოსთხოვა"



გვ.2

## „ბატონო შაშკინ, ძველი შპარგალკით მუშაობთ, მეთოდები დაგიძველდათ!"

გვ.6

რატომ შეუერთეს 137-ე სკოლას გაუქმებული 164-ე სკოლა და ვინ დაზარალდა ამით



გვ.7

## „როცა ჩვენ ქართულ დიპლომატიას ვქმნიდით, ზოგიერთი ახლანდელი დიპლომატი საბალეტო მენეჯმენტით იყო დაკავებული"



## ცხინვალი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს

გვ.4

რას ფიქრობს პრემიერი პუტინი



## არც ერთ ექიმს უმუშევარს არ დავტოვებთ

გვ.3

რისი იმედი აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს

## თბილისთან ახლოს მიწისძვრა მოხდა

გვ.3



გვ.4

## რატომ უნდა წავიდეს სააკაშვილი 2013 წელს



გვ.6

## ადა მარშანია: „აფხაზეთის არჩევნებზე ლაპარაკი სწორი არ იქნება"

**3090** sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ილია II: ერთმანეთის სიყვარულში უნდა შევეჯიბროთ

3 კურორტ „ახტალაზე" ხანძარი გაჩნდა

4 იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ჩვილის საქმის შესწავლა იწყება

5 ისტორიის გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

შედით საიტზე atb.ge



# მამუკა გიორგაძე: „საქართველოს ეკლესიამ ხელისუფლებას რუსული ბატონობის 200-წლიანი პერიოდის უკანონოდ გამოცხადება მოსთხოვა“

შორენა კოწოწაშვილი

რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებული კანონით საჯაროდ გამოხატული აღშფოთების ტალღა შედარებით მინელდა, არადა, პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია.

— ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ხვალ თუ არა ზეგ სააკაშვილმა თქვას თავისი ისტორიული სიტყვები, რომელთაც უკვე 25 წელია, ელოდება რუსეთი: საქართველო მზად არის კონფედერაციული სახელმწიფოს მოსაწყობად, — აცხადებს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე.

სახალხო პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ეკლესიას ვერაფერს ავნებენ, ქვეყანას კი ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებამდე მიიყვანენ.

**მამუკა გიორგაძე:**

— მახსოვს პერიოდი, როცა ეკლესიაში მხოლოდ სამი ეპისკოპოსი იყო; როცა საქართველოში 40-50 მღვდელზე მეტი არ იყო და სიონში ყოველკვირეულ წირვაზე რამდენიმე ადამიანი ვიკრიბებოდით, მაგრამ ეკლესიას ვერაფერი დააკლეს და ვერც დააკლებენ. ახლანდელმა ხელისუფლებამ რომ იცოდეს უფლის ძალა, ასე არ მოიქცეოდა. საქართველოს მმართველმა რეჟიმმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ანტისახელმწიფოებრივი ბუნება, როდესაც სახელმწიფოს ცხოვრებაში საქართველოს ეკლესიის შემოქმედებითი მონაწილეობის შესაძლებლობათა შეკვეცის მცდელობა განახორციელა. ეს არის სუფთა პროვოკაცია.

საქართველოს პატრიარქმა გარეგინთან საუბრისას ძალიან ოსტატურად დაიცვა საქართველოს ინტერესები. მან პრაქტიკულად თემა დახურა. ამ დროს საქართველოს ხელისუფლება იღებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც სთხოვდა გარეგინ II. ხელისუფლებამ პრაქტიკულად განახორციელა სომხოფობიური მიმართულების მიცემა ქართველი ხალხისა. ძალიან დიდმა ნაწილმა ე.წ. შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ინტელიგენციისა, „ძალიან“ პატრიოტმა წარმომადგენლებმა ქართულ პრესაში გაშალეს ანტისომხური პროპაგანდა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ასეთი შედეგები მიეღო. რომც ყოფილიყო სომხური მხრიდან თხოვნა, ხელისუფლებას არ უნდა გაეხმაურებინა. მაგრამ მან ეს სპეციალურად გააკეთა. ჯერ გარეგინ II-ის მეშვეობით განახორციელა მისი ჭკუით პატრიარქზე ზეწოლა, მერე კი პირდაპირ გამოაცხადა, ამ კუთხით საით უნდა წასულიყო ქართველი ხალხის აღშფოთება.

***— რა გამოკვეთა ამით საქართველოს ხელისუფლებამ?***

— ხელისუფლებამ ამ პროვოკაციით პრაქტიკულად განაცხადა, რომ ის არის არაქართული წარმოშობის ძალების ლობისტი, დამცველი. ხელისუფლებამ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, რომ ჩვენი ეკლესია და უცხოეთიდან მართული რელიგიური დაწესებულებები ერთ სიბრტყეში მოაქცია. ეს არის პირველი ნაბიჯი. ამას შემდგომ მოჰყვება სხვა ნაბიჯები, რომლებიც იმ მოტივით, რომ დაუშვებელია არაკონკურენტული გარემოს შექმნა საქართველოში, ყველა რელიგიას ერთნაირ პირობებს შეუქმნიან. ასეთ პირობებში კი ხვალ საქართველოს ეკლესია აღმოჩნდება დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, რადგან ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები აქვს.

პატრიარქმა ძალიან სწორად თქვა: გინდა მეგობრობა? რა სტატუსიც ექნება სომხურ ეკლესიას საქართველოში, იგივე სტატუსი უნდა ჰქონდეს ქართულ ეკლესიას სომხეთში. ეს მიდგომა უნდა იყოს აზერბაიჯანთან მიმართებითაც.

***— რატომ გაჩნდა განცდა, რომ ეკლესიას უფრო მკაცრი პოზიცია უნდა დაეკავებინა, ვიდრე დაიკავა და, საერთოდ, ყველამ ყველაფერი გაიგო და ყველაფერი ითქვა სინოდის გადაწყვეტილების ირგვლივ?***

— განცდა მართლაც იყო, რომ ჩანაწერი უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. ხალხის შეკრება და საპროტესტო აქციების ჩატარება სინოდის საქმეა. გადაწყვეტილებაში ძალიან მკაცრად არის ნათქვამი, თუ მომავალში რელიგიასთან დაკავშირებით საკითხები წამოიჭრება, თუ გვინდა, ავიცილოთ შესაძლო გართულებები, აუცილებლად დაუკავშირდით საქართველოს ეკლესიასო. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მცირე აფეთქებები კვლავ გაგრძელდება, მაშინ ეკლესია იფიქრებს სხვა ქმედებებზე.

დავუბრუნდეთ თვითონ სინოდის გადაწყვეტილებას. ეკლესიის პოზიციას ჰქონდა რეზონანსი და შეიქმნა კომისიები. მეორე დღესვე პარლამენტმა ცოტა გაუგებარი, მაგრამ მაინც უპრეცედენტო ქმედება განახორციელა, როდესაც განმარტებით ბარათში დაიწყო ფიცი — დედას ვფიცავარ, ეკლესიის წინააღმდეგ მეტს არ გავილაშქრებო; და დაიწყო ქონებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კომისიის ამუშავება. ამავე დროს, უწმინდესმა და მთელმა სინოდმა დასვეს საკითხი, რომ საკონსტიტუციო შეთანხმებამ დაიწყოს ფუნქციონირება და გათვალისწინებულ იქნეს ვალდებულებების შესრულება. საქართველოს ეკლესიამ სინოდის სახით გამოხატა მთელი მორწმუნე მრევლის ინტერესი. თუ აქამდე მეტნაკლებად პასიურ პოზიციაში იმყოფებოდა, გაცილებით აქტიური პოზიცია დაიკავა. სწორედ ამის გამოა, რომ ხელისუფლებამ შესაბამისი ნაბიჯები გადადგა.

**მეტი რა ხელი უნდა გაუწოდოს ეკლესიამ ხელისუფლებას იმისთვის, თუ ის რეალურად იბრძვის დეკოლონიზაციისა და იმ ნაღმების გაუვნებელყოფისთვის, რომელიც სოვეტიზაციის შედეგად მივიღეთ?!**



და უმთავრესი, რომელიც ჩაიკარგა ამ პერიპეტიებში: რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება და ხელისუფლებამაც შეგნებულად გაუკეთა იგნორირება განჩინების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს, რომელიც შეეხება საქართველოს ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს გაუქმების და ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ განხორციელებული რელიგიური პოლიტიკისა და სხვა ქმედებების უკანონოდ აღიარებას, ანუ ეკლესიამ წინადადებით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რომ 1801 წლის შემდგომი 200-წლიანი რუსული ბატონობის პერიოდი აღიარებულ იქნეს უკანონოდ.

ხელისუფლებამ, რომელიც ანტირუსულ ისტერიკას ეწევა, იგნორირება გაუკეთა სინოდის დადგენილების ამ პუნქტს. სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყოველთვის იყო მინიშნება საქართველოს ეკლესიის ე.წ. პრორუსულობასა და რუსეთის ეკლესიისადმი მის თბილ დამოკიდებულებაზე. აი, ბატონო, დოკუმენტი, რითაც საქართველოს სინოდი მიმართავს ხელისუფლებას, რომ გამოვაცხადოთ ეს 200-წლიანი პერიოდი უკანონოდ და დავიწყოთ რესტავრაციის პროცესი ქართული სახელმწიფოსი.

ეს შესთავაზა სინოდმა ხელისუფლებას. ხელისუფლებამ კი ყველაფერზე გასცა პასუხი, ამის გარდა. ამით ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა თავისი, როგორც რუსული ადმინისტრაციის როლი, თორემ მეტი რა ხელი უნდა გაუწოდოს ეკლესიამ ხელისუფლებას იმისთვის, თუ ის რეალურად იბრძვის დეკოლონიზაციისა და იმ ნაღმების გაუვნებელყოფისთვის, რომელიც სოვეტიზაციის შედეგად მივიღეთ?! ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ქართველი საზოგადოება უნდა მოუბრუნდეს ამ საკითხს.



***— მართლა იმატა ქვეყანაში ანტისომხურმა განწყობამ ამ კანონის მიღების შემდეგ და მართლა შეიძლება დავდგეთ ტერიტორიული დაშლის საფრთხის წინაშე?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ გვახსოვს, როგორ ხდებოდა ეს პროცესები თუნდაც ცხინვალის რეგიონში, თუნდაც აფხაზეთში. გვახსოვს, რა ხდებოდა, როდესაც გავაუქმეთ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და წესრიგის დამყარება რუს სამშვიდობოებს მივანდეთ. პარლამენტმა ტაში დაუკრა იმ რუს გენერალს, რომლის არმიაც ოკუპანტად და უკანონოდ იყო გამოცხადებული საქართველოს ტერიტორიაზე. კარგად გვახსოვს აფხაზეთში მიღებული კანონები, როდესაც 5 ქართველის ხმა ტოლი იყო 1 აფხაზის ხმის. ბევრი სხვა თემაც გვახსოვს. გვახსოვს, როგორ ხდებოდა კომუნისტების პერიოდში ჩვენი ჩათრევა ცხინვალის, ქვემო ქართლის, აფხაზეთის კონფლიქტებში. სააკაშვილი აგრძელებს ამ გზას. მას უნდა, რომ თავისი დანაშაულებრივი ქმედებები გადაიფაროს პოპულისტურ-ნაციონალისტური ლოზუნგებით. გადაიფაროს ხვალ ანტისომხური ლოზუნგით.

***— გამოდის, რომ არა მხოლოდ ეკლესიის კუთხით დაუთმო სააკაშვილმა სომხებს, არამედ შეიძლება ტერიტორიების დათმობაზეც თანხმობა მისცა?***

— უპირველესად ყოვლისა, ტერიტორიებზეა საუბარი. საქართველოს ეკლესია ქართველ ხალხსა და ალმსარებლობას დაიცავს. ამას არ სჭირდება თოფი. ამას სჭირდება მხოლოდ რწმენა და ეკლესიის ერთგულება. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ტერიტორიულ მთლიანობაზე, აქ უკვე საჭიროა თოფი, ორგანიზებულობა. როდესაც არც ერთი გაქვს, არც მეორე და მთავრობა, პირიქით, შენ წინააღმდეგ მოქმედებს და საქართველოს სათავეში მტერი ჰყავს, იქ უკვე ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ძალიან ცუდად დამთავრდეს, ისე, როგორც დამთავრდა ცხინვალში, კოდორსა და სოხუმში. დღესაც აქეთკენ მივდივართ.

## ილია II: ერთმანეთს სიყვარულში უნდა შევეჯიბროთ



ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღესასწაულთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს და აუცილებლად გაბრწყინდება.

— მადლობა უფალს და მადლობა თქვენ სიყვარულისათვის, მოთმინებისა და სულგრძელობისათვის. ჩვენ უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს, თქვენ უფრო გიყვარვართ თუ მე უფრო მიყვარხართ. ერთმანეთის სიყვარულში უნდა შევეჯიბროთ. ჩვენთან არს ღმერთი, — ბრძანა უწმინდესმა.

გუშინვე კათოლიკოს-პატრიარქმა და მღვდელმთავრებმა მთაწმინდის პანთეონში ილია მართლის საფლავს პატივი მიაგეს. მთაწმინდაზე თბილისის მერი გიგი უგულავაც იმყოფებოდა.

**მედიანიუსი**

## „ლეიბორისტული პარტია“ ახალი სალარო აპარატების შემოღებას აპროტესტებს

„ლეიბორისტული პარტია“ ახალი სალარო აპარატების შემოღებას აპროტესტებს.

როგორც გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე „ლეიბორისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, „ხელისუფლება ამას მოსახლეობის ჯიბიდან ფულის ამოსახაპად იყენებს“.

— ჯერ კიდევ შარშან ყოფილი ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშ-



ვილი აცხადებდა, რომ ახალი ტიპის სალარო აპარატების შემოტანის საფასურს სახელმწიფო დაფარავდა და მეწარმეებს ერთი თეთრის გადახდაც კი არ მოუწევდათ. ახლა კი აღმოჩნდა, რომ მეწარმეები ახალ სალარო აპარატებს უფასოდ მიიღებენ, თუმცა მისი რეგისტრაცია 290 ლარი დაუჯდებათ. როგორც ცნობილია, აქამდე სალარო აპარატების რეგისტრაცია მხოლოდ 10 ლარი ღირდა. გარდა ამისა, ახალი სალარო აპარატები ჩართულია ინტერნეტის ქსელში, საერთო მონაცემთა ბაზაში და ბიზნესმენებს ამის საფასურის გადახდაც მოუწევთ. რა ეღირება ინტერნეტის მომსახურება, ამ დრომდე უცნობია. ამ ყველაფერს მოჰყვება ის, რომ მეწარმეებთან ერთად სხვა მოქალაქეებიც დაზარალდებიან, რადგან ბიზნესმენები იძულებული იქნებიან, პროდუქცია გააძვირონ, — განაცხადა შატბერაშვილმა და იქვე დასძინა, რომ თუ მეწარმეები სასამართლოში ჩივილს გადაწყვეტენ, „ლეიბორისტები“ მზად არიან, მათ იურიდიული დახმარება გაუწიონ.

**პირველი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# არც ერთ ექიმს უმუშევარს არ დავტოვებთ

## რისი იმედი აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს

ნათია ხურცილავა

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მე-8 საავადმყოფოს ლიკვიდაცია ხდება, ქრისტიან-დემოკრატებმა გადაწყვიტეს, რომ საავადმყოფოს მედპერსონალის ბედი გაერკვიათ.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებმა: მაგდა ანიკაშვილმა და გიორგი ახვლედიანმა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გუშინ შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე მათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან მოისმინეს განმარტებები იმასთან დაკავშირებით თუ რა ვადაში მოხდება მათ საკუთრებაში არსებული მე-8 საავადმყოფოს რეაბილიტაცია და რა ბედი ელის საავადმყოფოში დასაქმებულ 200-მდე ადამიანს.

სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროს ზურაბ ორჯონიკიძის განმარტებით, საავადმყოფო ვერც ერთ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს და მისი ფუნქციონირება დაუშვებელია.

როგორც ზურაბ ორჯონიკიძემ შეხვედრაზე განაცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოები სექტემბერში დაიწყება და 2012 წელს დასრულდება.

მისივე თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს მე-8 საავადმყოფოს მედპერსონალის სხვადასხვა კლინიკებში გადანაწილებაზე.

— ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. არსებობს



საკმარისი მოთხოვნა ექიმებზე და ისინი დასაქმდებიან. არც ერთი პროფესიონალი ექიმი უმუშევარი არ დარჩება, — განაცხადა ორჯონიკიძემ.

მიუხედავად ორჯონიკიძის ამ განმარტებისა, მე-8 საავადმყოფოს მედპერსონალის უმრავლესობას აქვს განცდა, რომ ისინი უმუშევრები დარჩებიან.

ერთ-ერთი თანამშრომლის განცხადებით, რომელმაც არ ისურვა ჩვენთან ვინაობის გამხელა, განაცხადა, რომ უკვე არსებობს გეგმა, რომლის თანახმადაც ისინი ქუჩაში რჩებიან. ხოლო ის განცხადება, რომ ხდება მედპერსონალის გადანაწილება სხვადასხვა საავადმყოფოებში, რეალური არ არის და არც ერთი საავადმყოფო არ იღებს სხვა საავადმყოფოს თანამშრომელს.

— ჩვენ უმუშევრები ვრჩებით. ეს არის რეალობა. რასაც ახლა ამბობენ, რომ მოხდება მედპერსონალის გადანაწილება სხვადასხვა საავადმყოფოებში, რეალობას არ შეეფერება. არ მჯერა ამის. მძიმე სიტუაციაა შექმნილი. არ ვიცი, როგორ განვითარდება პროცესები. მე-8 საავადმყოფო გააუქმეს. სად უნდა გადანაწილდეს 200 ექიმი, ან ვინ მიიღებს მათ, ვინ დაუთმობს საკუთარ ადგილს. რასაც ამბობენ, რომ მათი გადანაწილება მოხდება სხვადასხვა საავადმყოფოებში, ეს ხომ მწარე სიცრუეა. ამ ტყუილს ვინ „შეჭამს". ჩვენი დასაქმება სულ არ აინტერესებს ხელისუფლებას, პირიქით, მათ უნდათ, რომ თავიდან მოგვიცილონ. მე-8 საავადმყოფოს ბედს გაიზიარებს სხვა საავადმყოფოებიც. მე როგორც ვიცი, სულ რამდენიმე საავადმყოფო, ერთი ან ორი დარჩება. სხვა საავადმყოფოების ლიკვიდაცია მოხდება, — განაცხადა მე-8 საავადმყოფოს ერთ-ერთმა ექიმმა.

გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატების ლიდერებმა მაგდა ანიკაშვილმა და გიორგი ახვლედიანმა განაცხადეს, რომ საავადმყოფოს მედპერსონალის დასაქმების მყარი გარანტიები არ არსებობს და ამ მიმართულებით აქტიური მუშაობაა საჭირო.

მაგდა ანიკაშვილის განცხადებით, ქრისტიან-დემოკრატების მიზანია არც ერთი ექიმი უმუშევარი არ დარჩეს. თუმცა, შეიძლება ქრისტიან-დემოკრატების ეს მიზანი აუხდენელ სურვილად დარჩეს.

## გაეროს წარმომადგენლობასთან აქცია „მეც დევნილი ვარ" გაიმართა

საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობამ აფხაზეთიდან დევნილებთან და დევნილების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის ოფისთან აქცია „მეც დევნილი ვარ" გამართეს და გაეროს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის საქართველოში ჯეიმ მაკ გოლდრიკის სახელზე პეტიცია შეიმუშავეს.

როგორც „მედიანიუსს" წინააღმდეგობის მოძრაობის დევნილთა ომბუდსმენმა მაია ხარაძემ განუცხადა, პეტიციაში ასახულია დევნილების მდგომარეობა და ხელისუფლების მიერ ჩადენილი კანონდარღვევები დევნილებთან მიმართებაში.

— პეტიციაში გარკვევით წერია სამართლიანო მოთხოვნები, რომელთა შესრულებასაც აფხაზეთიდან დევნილები ხელისუფლებისგან ითხოვენ. კერძოდ, დევნილების მოთხოვნაა გადაეცეთ ოჯახზე 600 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისის შემოგარენში, ან ალტერნატიული 100 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარში. სხვა შემთხვევაში კი ფართი თბილისის ტერიტორიაზე, რადგან ისინი თბილისში არიან რეგისტრირებულნი და ადაპტირებულნი, — განაცხადა ხარაძემ.

წინაღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენის დავით ლილუაშვილის თქმით, უახლოეს მომავალში დევნილებთან ერთად ის ევროკავშირის წარმომადგენლობის მთავარ ოფისში საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრას გამართავს, და მათ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლების პრობლემებს გააცნობს.

მედიანიუსი

## კურორტ „ახტალაზე" ხანძარი გაჩნდა

ელექტროსადენების გაუმართაობის გამო გურჯაანში, კურორტ ახტალაზე„ ხანძარი გაჩნდა. მავთულებიდან ცეცხლი ნაძვებს გადაედო და რამდენიმე ნაძვი დაიწვა. ამ დროისთვის ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ხანძრის გამო ქალაქ გურჯაანს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა

მედიანიუსი

## თბილისთან ახლოს მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 12.13 საათზე, თბილისთან ახლოს მიწისძვრა მოხდა. ბიძგები თბილისსა და ქვემო ქართლის რამდენიმე რაიონში იგრძნობოდა. მიწისძვრის ეპიცენტრი თბილისიდან 30 კილომეტრში თეთრი წყაროს რაიონში დაფიქსირდა.

სეიმსური მონიტორინგის ცენტრის ცნობით, ბიძგების სიმძლავრემ 3.6 მაგნიტუდა შეადგინა.

როგორც აღნიშნული ცნობით იუწყება, ბიძგები დიდი სიმძლავრის არ იყო და მიწისძვრას რაიმე სახის ზიანი არ გამოუწვევია.

მედიანიუსი

## ბურჯანაძის პარტია მედია-ექსპერტებს მიმართავს



„დემოკრატიული მოძრაობის" განცხადებით, ტელეკომპანიები — „რუსთავი 2", „იმედი" და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ასრულებენ „მიხეილ სააკაშვილის ნეობოლშევიკური რეჟიმის დაკვეთას და ხდებიან დამნაშავე ხელისუფლების დანაშაულებათა თანამონაწილეები".

ნინო ბურჯანაძის პარტია ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდა, რაც ხსენებულმა ტელევიზიებმა არ გააშუქეს ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გამოაქვეყნებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც, 26 მაისს შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეო კადრებში, ნინო ბურჯანაძის ესკორტის მიერ ადამიანთან ან რაიმე უცხო სხეულთან შეჯახება არ ფიქსირდება.

— 26 მაისს ხელისუფლების მიერ მოწყობილი სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაციის შემდეგ დილიდან, ტელეკომპანიები- „რუსთავი 2", „იმედი", საზოგადოებრივი მაუწყებელი და ხელისუფლების მიერ მართული რამდენიმე რადიო და ბეჭდური მედიის წარმომადგენელი ურცხვად, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ტირაჟირებდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ წინასწარ დაგეგმილ ტყუილს, რომლის მიზანიც იყო ნინო ბურჯანაძის და მისი თანამებრძოლების მკვლელებად გამოცხადება. საუბარია შსს-ს მიერ გავრცელებულ ცნობილ ვიდეო კადრებზე, რომლებზეც თითქოსდა ასახული იყო ნინო ბურჯანაძის ესკორტის მიერ ადამიანზე შეჯახება. ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც 26 მაისს შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეო კადრებში ნინო ბურჯანაძის ესკორტის მიერ ადამიანთან ან რაიმე უცხო სხეულთან შეჯახება არ ფიქსირდება. 2011 წლის 1 აგვისტოს დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს„ თავმჯდომარემ და სახალხო კრების„ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ნინო ბურჯანაძემ მედიის წარმომადგენლებს წარუდგინა აღნიშნული საექსპერტო დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიფინგს ესწრებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, აღნიშნული ინფორმაციისათვის ამ არხზე საეთერო დრო არ მოიძებნა. ტელეკომპანიების - „რუსთავი 2" და „იმედის" წარმომადგენლები უკვე დიდი ხანია „სახალხო კრებისა" და „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის" ღონისძიებებს სრულ იგნორირებას უკეთებენ და, ბუნებრივია, არც ამჯერად მოიძებნა ეთერში დრო ამ ინფორმაციის გასაშუქებლად, — ნათქვამია პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პარტიის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ თავისუფალი მედიისა და ზოგადად, ობიექტური ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპი, მაყურებელს მიეწოდოს დაბალანსებული ინფორმაცია, უკვე დიდი ხანია ამ ტელეკომპანიების მიერ უგულებელყოფილია.

— ჩვენ დიდი ხანია თავს ვიკავებთ მედიის ამ წარმომადგენლების მიმართ ჩვენი პოზიციის დაფიქსირებისაგან, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. მაშინ როდესაც საკუთარი ეთერით უდანაშაულო ადამიანებს უაპელაციოდ აცხადებ მკვლელებად, პირდაპირ არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმციას და მაყურებელი შეგნებულად შეგყავს შეცდომაში , მაშინ როდესაც ამ ადამიანებისაგან არ ითხოვ კომენტარს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მათ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აცხადებ ბრალდებულებად, მაშინ როდესაც ამ ტყუილის გამო უდანაშაულო ადამიანები სხედან საპყრობილეებში და განიცდიან გაუსაძლის ზეწოლას ხელისუფლების მხრიდან, ეს სცდება ჟურნალისტიკის ფარგლებს და ხდება დანაშაული. აღნიშნული ფაქტის შემდეგ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანიები - „რუსთავი 2", „იმედი" და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ასრულებენ სააკაშვილის ნეობოლშევიკური რეჟიმის დაკვეთას და ხდებიან დამნაშავე ხელისუფლების დანაშაულებათა თანამონაწილეები, — ვკითხულობთ „დემოკრატიული მოძრაობის" განაცხადებაში.

ნინო ბურჯანაძის პარტია ჟურნალისტთა ეთიკის საბჭოს და მედია-ექსპერტებს თხოვნით მიმართავს იმსჯელონ აღნიშნულ ფაქტზე.

— ასევე, მივმართავთ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ადეკვატური შეფასება მისცენ ამ ტელეკომპანიების ქმედებებს და მეტი ყურადღება დაუთმონ ქვეყანაში ხელისუფლების მხრიდან კონტროლირებადი მედიის საქმიანობას. ყველა ჟურნალისტს უნდა ესმოდეს, თუ რაოდენ დიდია მედიის ძალა და აცნობიერებდეს, რომ ამგვარი ქმედებებით, ნებსით თუ უნებლიედ, ხელს უწყობს ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმის გამყარებას, — ნათქვამია განცხადებაში.

მედიანიუსი



შედით საიტზე atb.ge



# რატომ უნდა წავიდეს სააკაშვილი 2013 წელს

თეა მარხვაი ე



საქართველოს მოსახლეობა 2013 წლის დადგომას მოუთმენლად ელოდება. ელოდება იმიტომ, რომ ამ წელს მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა ეწურება. მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, სააკაშვილს მესამე ვადით კენჭისყრის უფლება აღარ აქვს. ხალხს იმედი აქვს, რომ ოპოზიციის მიერ დაუმარცხებელ სააკაშვილს დრო მაინც დაამარცხებს.

დღეს ბევრი საუბრები მიდის იმასთან დაკავშირებით, დარჩება თუ არა სააკაშვილი ხელისუფლებაში. ამაზე აქტიურად საუბრობენ დასავლეთში. ოპოზიციის ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი არსად აპირებს წასვლას. ამის პარალელურად, ისინი ამტკიცებენ, რომ დასავლეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენას.

თავად სააკაშვილი ამასთან დაკავშირებით არაფერს არ ამბობს, არ აკონკრეტებს, წავა, დარჩება თუ პრემიერად მოგვევლინება. საქართველო ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა რომ იყოს, ამ საკითხზე მსჯელობა ნამდვილად არ იქნებოდა. დემოკრატიულ ქვეყნებში ყველამ კარგად იცის, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტები მიდიან.

საქართველო კი დემოკრატიული ქვეყანა არ არის. არც სააკაშვილია დემოკრატიული მმართველი. შესაბამისად, ყველას აქვს ეჭვი, რომ ის შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას.

ამ ეჭვებს აძლიერებს ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ცოტა ხნის წინ დაამტკიცა პარლამენტმა. ამ ცვლილებების თანახმად, მომავალში პრემიერის ინსტიტუტი ძლიერდება. როგორც ამბობენ, ამას სააკაშვილი სათავისოდ იმზადებს. კონსტიტუცია მას გაპრემიერებას ნამდვილად არ უკრძალავს.

თუმცა, როგორც ამბობენ, დასავლეთს სულაც არ მოსწონს სააკაშვილის საპრემიერო ზრახვები. დასავლეთს, როგორც ამბობენ, არც მისი პრეზიდენტობა ეპიტნავება, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ. ამის მიუხედავად, დასავლეთი არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ის წავიდეს.

პირიქით, დასავლეთი და განსაკუთრებით ამერიკა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო ვადა ბოლომდე დაასრულოს. და ამით საქართველო დემოკრატიას შეაჩვიოს. დემოკრატია კი მარტო ხელისუფლების კრიტიკა არ არის.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ საქართველოში ვერც ერთმა პრეზიდენტმა თავისი საპრეზიდენტო ვადა ბოლომდე ვერ დაასრულა.

პირველი პრეზიდენტი გამსახურდია ყოფილმა თანაგუნდელებმა გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვეში იარაღით დაამხეს. მაშინდელი სამოქალაქო ომის შედეგებს საქართველო დღემდე იმკის.

შევარდნაძე ყოფილმა თანაგუნდელებმა მაშინ ჩამოაგდეს, როცა საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე რამდენიმე თვე რჩებოდა. ეს რევოლუცია უსისხლო იყო, თუმცა საქართველოს მანაც ბევრი ცუდი შედეგი მოუტანა.

ფაქტია, რომ ამ რევოლუციების შემდეგ საქართველომ ტერიტორიები დაკარგა. შეიძლება რუსეთს ეს ტერიტორიები ჩვენთვის ისეც წაერთმია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს რევოლუციების შემდეგ მოხდა.

თავისი საპრეზიდენტო ვადა ბოლომდე ვერც მიხეილ სააკაშვილმა დაასრულა. საუბარია მის პირველ საპრეზიდენტო ვადაზე. 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ სააკაშვილი თავად გადადგა პოსტიდან. მას ვადის დასრულებამდე რამდენიმე თვე აშორებდა. სააკაშვილმა მაშინ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა და თავადვე მოიგო გამარჯვებულის მანტია. როგორ ჩატარდა ეს არჩევნები, ყველას კარგად მოეხსენება. თუმცა ფაქტი ისაა, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია და ის თავის საპრეზიდენტო ვადას დაასრულებს.

ამაში მას, თავის გარემოცვაზე მეტად, დასავლეთი დაეხმარება. დასავლეთის ასეთი მხარდაჭერა რომ არა, შეიძლება ჩვენი პრეზიდენტი ვინმე სხვა ყოფილიყო. დასავლეთს სააკაშვილი დიდად არ მოსწონს. ამის მიუხედავად, მაინც მას უჭერს მხარს და მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო დემოკრატიულ ღირებულებებს შეეჩვიოს.

საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე სააკაშვილის დიდი დრო აღარ რჩება. როგორც ამბობენ, მისი გუნდი ამისთვის საგანგებოდ ემზადება. პრეზიდენტის კარზე რამდენიმე დაჯგუფება არსებობს. ისინი სააკაშვილის მემკვიდრის სტატუსის მისაღებად იბრძვიან.

ამ ფრონტზე განსაკუთრებით ვანო მერაბიშვილისა და გიგა ბოკერიას დაჯგუფებები აქტიურობენ. ამ უკანასკნელის გუნდში მოიაზრება თბილისის მერი გიგი უგულავაც, რომელიც უკვე საკმაოდ ღია განცხადებებს აკეთებს. ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ ხალხს გაუმჯობესებული მიშა უნდა. ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ გაუმჯობესებულ მიშაში საკუთარი თავი იგულისხმა. უგულავას საპრეზიდენტო ამბიციებზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ.

ასევე ბევრს საუბრობენ ვანო მერაბიშვილის სამომავლო გეგმებზე. როგორც ამბობენ, ის პრემიერობას უმიზნებს. მომავალში პრემიერის ინსტიტუტი ძალიან ძლიერი იქნება. თანაც თუ მერაბიშვილი პრემიერი გახდა, ის გილაურის და სხვათა მსგავსი ნამდვილად არ იქნება.

საქართველოში ბოლო ხანებში ჯაშუშების გამოვლენის დიდი ბუმია. ამ მხრივ ჩვენმა შს სამინისტრომ დიდი აქტიურობა გამოიჩინა. სჯერა თუ არა დაჭერილთა ჯაშუშობის ვინმეს, ეს ცალკე თემაა (განსაკუთრებით ფოტორეპორტიორების), ფაქტი ისაა, რომ ვანო ჯაშუშებს იჭერს. ამით ის საკმაო ქულებს იწერს. როგორც დასავლეთის, ასევე საქართველოს მოსახლეობის ნაწილის თვალში. ისე, თუ სიმართლეა, ვანო რუსეთსაც ესიმპატიურება. რუსულ მედიაში მისი სახელი ხშირად ტრიალებს და რაც უნდა გასაკვირი იყოს, დადებით კონტექსტში.

მოკლედ, სააკაშვილის კარზე დიდი ამბებია. ყველა იმ დროისთვის ემზადება, როცა მისი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება. მას მემკვიდრე ჯერ დასახელებული არ ჰყავს. არც ისაა ცნობილი, წავა თუ დარჩება.

ჩვენი ოპოზიცია, ექსპერტები და დასავლური მედია ამტკიცებენ, რომ დასავლეთი მის ხელისუფლებაში დარჩენას აღარ დაუშვებს. მათი მხარდაჭერის გარეშე კი სააკაშვილი ვერ დარჩება. თუმცა, ვინ იცის....

საქმეს ისეთი პირი უჩანს, პრეზიდენტი თავის საპრეზიდენტო ვადას ბოლომდე დაასრულებს. რას მოუტანს მისი დარჩენა ქვეყანას, ძნელი სათქმელია. ჩვენს სააკაშვილს ბევრი უცნაურობა ახასიათებს. ამის მიუხედავად, ვადის დასრულებით საქართველოში მნიშვნელოვან პრეცედენტს ჩაეყრება საფუძველი, არჩეული პრეზიდენტი თავის საპრეზიდენტო ვადას ბოლომდე დაასრულებს.

გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ. თუნდაც იმიტომ, რომ დემოკრატიულ ქვეყანაზე გვაქვს პრეტენზია. იქ კი პრეზიდენტები ვადის ამოწურვის შემდეგ მიდიან. ამასთან, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით თუ როგორ მთავრდება პრეზიდენტის ჩამოგდება. მნიშვნელობა არ აქვს, ეს იარაღით მოხდა თუ უიარაღოდ. ორივე შემთხვევა ჩვენს ქვეყანას ცუდად შემოუტრიალდა.

კარგი იქნება, თუ ამომრჩევლიც მეტ პასუხისმგებლობას გამოიჩენს არჩევანის გაკეთების დროს. ალბათ მარტო საქართველოში ხდება, როცა 87 თუ უფრო მეტი პროცენტით არჩეული პრეზიდენტს ცოტა ხანში ამომრჩევლის ამდენივე პროცენტი უპირისპირდება. ეს შემთხვევითი არ არის. ესეც რაღაცას ნიშნავს.

# ცხინვალი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს

## რას ფიქრობს პრემიერი პუტინი

თეა მარხვაი ე

უკვე დიდი ხანია მიდის საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის მიერთებას აპირებს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამას თავად სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ითხოვდა. ამასთან დაკავშირებით განცხადებები არაერთხელ გაკეთებულა. ამაზე საუბრობდნენ ცხინვალის აღიარებამდეც და მის შემდეგაც.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა ედუარდ კოკოითი. ის ჯერ კიდევ ომამდე ამბობდა, ორი ოსეთი უნდა გაერთიანდესო. თუმცა კოკოითის ეს ძალიან არ უნდოდა, რადგან ორი ოსეთის გაერთიანების შემთხვევაში ის პრეზიდენტი ნამდვილად ვეღარ იქნებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კოკოითი ამაზე 2004 წლის შემდეგ ალაპარაკდა. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ყვავილოვანმა ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში სამხედრო ავანტიურა განახორციელა. მანამდე კოკოითის ორი ოსეთის გაერთიანება სულ ფეხებზე ეკიდა და არც დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთზე ფიქრობდა. მაშინ საქართველოს ხელისუფლებას ცოტა მეტი ჭკუა რომ ეხმარა, ახლა ამ მიმართულებით სხვა ვითარება იქნებოდა.

სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც მოხდა და ამის გამოსწორება უკვე შეუძლებელია. ახლა რუსეთი საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების მიერთებას შეუდგა. ამას აფხაზები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ. ცხინვალის მოსახლეობა კი უფრო მორჩილად ეგუება ამას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ისინი დიდი სიამოვნებით შევლენ რუსეთის შემადგენლობაში.

წელს ცხინვალში ჩატარდება რეფერენდუმი, რომელიც გადაწყვეტს, იქნება თუ არა რუსული ენა სამხრეთ ოსეთში მეორე სახელმწიფო ენა. ვიღაცეები ითხოვდნენ, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ რეფერენდუმი რუსეთთან მიერთების საკითხზეც ჩატარდებოდა.

ამასთან დაკავშირებით გუშინ, 2 აგვისტოს, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საინტერესო განცხადებები გააკეთეს. ყველაფერი რუსეთის პრემიერ პუტინის განცხადებას მოჰყვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის კვლავ პრეზიდენტობას უმიზნებს, მისი განცხადებები უფრო სერიოზულად არის აღსაქმელი.

პრემიერმა პუტინმა სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების თემაზე განცხადება ახალგაზრდული ფორმის წევრებთან შეხვედრისას გააკეთა.

იქ ბევრ რამეზე იყო საუბარი. როცა საქმე ცხინვალის რეგიონზე ჩამოვარდა, პუტინმა თქვა, რომ ეს საკითხი თავად ოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

— სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების საკითხი მხოლოდ ოს ხალხზეა დამოკიდებული. თქვენთვის რუსეთის პოზიცია ცნობილია. როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ სამხედრო აქცია განახორციელა, რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთს დაუჭირა მხარი, — აღნიშნა რუსეთის პრემიერმა.

პუტინის თქმით, ახლა ოსი ხალხის ბედი თავად მათზეა დამოკიდებული. მას არ უთქვამს, რომ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელია და რუსეთი მის მიერთებას არ აპირებს.

პრემიერის ამ განცხადებებს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მით უმეტეს, რომ ამ განცხადებებს წინ საეჭვო პროცესები უძღოდა.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ედუარდ კოკოითი ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებას გამორიცხავს და რუსეთთან მოკავშირე სახელმწიფოს შექმნას აპირებს.

ამ მხრივ საინტერესო იყო იაპონური მედიისთვის ედუარდ კოკოითის მიცემული ინტერვიუ. ამ ინტერვიუში მან თქვა, რომ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და რუსეთს მხოლოდ სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს.

ამ ინტერვიუში საუბარი პრეზიდენტის სანუკვარ ოცნებაზეც იყო — ორი ოსეთის გაერთიანებაზე. ოდესღაც კოკოითი ამაზე ბევრს საუბრობდა. ახლა კი ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებასა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლაზე სხვა აზრისაა.

— რუსეთს სხვისი ტერიტორიები არ სჭირდება და ჩვენი ქვეყნის ანექსიას არ მოახდენს. აგვისტოს ომამდე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების იდეა აქტუალური იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების აგრესიულმა პოლიტიკამ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცია, — აცხადებს კოკოითი.

იაპონურ გაზეთთან საუბარში მან იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის ფონზე, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს სამხრეთ ოსეთის გაძლიერებისთვის.

რუსეთში სამხრეთ ოსეთის ელჩი დიმიტრი მედოევი კი ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთთან მიერთებაზე რეფერენდუმი არ გაიმართება. ეს განცხადება მან რუსეთის პრემიერის საპასუხოდ გააკეთა.

— სამხრეთ ოსეთის რუსეთის სუბიექტად ქცევის გეგმა არ არსებობს, რადგან ის არ აპირებს რუსეთის ნაწილი გახდეს, — განაცხადა



რუსეთში მივლენილმა ოსმა დიპლომატმა.

რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთან“ ინტერვიუში დიმიტრი მედოევმა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ისაუბრა.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, მომავალში რუსეთმა და სამხრეთ ოსეთმა სამოკავშირეო სახელმწიფო შექმნან, თუმცა არ აპირებენ, „სამხრეთ ოსეთის“ თავისუფლება რაღაც პოლიტიკურ დინებებზე გაცვალონ.

მედოევის მტკიცებით, რუსეთთან გაერთიანების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებაზე საუბარი არ არის, რადგან ოსმა ხალხმა თავისუფლების სასარგებლოდ, საკუთარი არჩევანი ერთი რეფერენდუმის გზით უკვე გამოხატა.

ვნახოთ, რამდენ ხანს გასტანს კოკოითის მთავრობის „თავისუფლების“ სულისკვეთება. მიმდინარე წლის ნოემბერში აქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და შეიძლება ეს განცხადებები ამ მოვლენას უკავშირდებოდეს.

ცხინვალშიც არიან ადამიანები, რომლებიც რეალურ დამოუკიდებლობაზე ოცნებოდნენ და არ სურთ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა. ამდენად, ეს განცხადებები მათი გულის მოსაგებად კარგი საშუალებაა. არადა, აფხაზებისგან განსხვავებით, ოსებს დამოუკიდებლობა არ სურთ.

ორი ოსეთის გაერთიანებაზე კი ძალიან ბევრი საუბრობს. ამ იდეის მხარდამჭერების მტკიცებით, ამით ისტორიული სამართლიანობა უნდა აღდგეს თურმე. რომელ ისტორიულ სამართლიანობაზეა საუბარი, ეს სხვა საკითხია. ფაქტი ისაა, რომ ამ იდეის მხარდამჭერები იზრდება. ამ იდეას უჭერს მხარს რუსეთის დუმაში ჩრდილოეთ ოსეთის დეპუტატი არსენ ფაძაევი.

წარსულში ლეგენდარული მოჭიდავე პოლიტიკაში და ისტორია-გეოგრაფიაში აშკარად მოიკოჭლებს. ის ორი ოსეთის გაერთიანების გარდა, ცენტრალური ოსეთის მიერთებასაც ითხოვს. ცენტრალურ ოსეთად ის ყაზბეგის რაიონს მიიჩნევს. მას არაერთხელ განუცხადებია, რომ დადგა დრო, როცა საქართველომ წართმეული ტერიტორიები უნდა დააბრუნოს.

### იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ჩვილის საქმის შესწავლა იწყება

სამედიცინო რეგულირების სააგენტო იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ჩვილის საქმის შესწავლას იწყებს.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლებმა გარდაცვლილი ახალშობილის საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საჩხერის სამშობიარო სახლიდან უკვე გამოითხოვეს.

სააგენტოში კი პარალელურად მუშაობენ შუამდგომლობაზე, რომელიც სასამართლოს უნდა წარუდგინონ იმისათვის, რომ გარდაცვლილი ახალშობილის საკითხის შესწავლა ოფიციალურ დონეზე მოხდეს.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, შესაძლებელია ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტაცია იაშვილის სახელობის კლინიკაშიც იქნას შესწავლილი, რადგან ახალშობილი სწორედ იქ გარდაიცვალა.

ორივე დაწესებულებიდან მოკვლეული დოკუმენტების შეგროვების შემდეგ სპეციალისტები შეისწავლიან თუ, რამდენად სწორად მიმდინარეობდა მკურნალობის პროცესი, ამის შემდეგ კი საკითხს ჯანდაცვის სამინისტრო განიხილავს.

— ჩვენ სამედიცინო დოკუმენტაციას სავარაუდოდ ორივე დაწესებულებაში შევისწავლით. შედეგები კი გადაეგზავნება ამ დარგის ექსპერტებს და ისინი განიხილავენ, თუ რამდნად სწორად იყო ჩატარებული მკურნალობა. შემდეგ კი საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე განიხილება და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება, — განაცხადა სამედიცინო რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელმა თეიმურაზ პირველაშვილმა.

დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ექიმის წინააღმდეგ სანქციები ამოქმედდება. სანქციის ყველაზე მსუბუქი ფორმა წერილობით გაფრთხილებაა, ყველაზე მძიმე კი სახელმწიფო სერტიფიკატის შეჩერება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ საჩხერის სამშობიარო სახლში 19 წლის ნათია მუჯირიშვილს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა. გართულებების გამო მეან-გინეკოლოგ ვაჟა ცირეკიძის მოთხოვნით ახალშობილი თბილისში იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ბავშვის ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. გარდაცვლილი ჩვილის ოჯახის წევრები ექიმ-გინეკოლოგ ვაჟა ცირეკიძეს ბავშვის დაღუპვაში ადანაშაულებენ და მის დასჯას ითხოვენ.

მედიანიუსი

# წარმატებული პედაგოგები 500-500 ლარით დააჯილდოვეს

ნათია ხურცილავა



საქართველოს საგანმანათლებლო ალიანსმა წარმატებული პედაგოგები დააჯილდოვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ დაჯილდოებული პედაგოგები სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლების იმ მოსწავლეთა დამრიგებლები არიან, რომელთაც 2011 წლის საატესტატო გამოცდებზე უმაღლესი შეფასებები მიიღეს.

საქართველოს საგანმანათლებლო ალიანსის თანათავმჯდომარეებმა ტატო შავიშვილმა და გია მურღულიამ მასწავლებლებს ქართული მეთოდური გამოცდები და ინგლისურენოვანი ლიტერატურა აჩუქეს.

ასევე, პედაგოგებს გადასცეს 500 ლარის ოდენობის ფულადი პრემიები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, სამინისტრო მიესალმება საგანმანათლებლო ალიანსის ინიციატივას წაახალისოს ღირსეული პედაგოგები, რომელთაც ყველა პირობა შეუქმნეს მოსწავლეებს, სათანადოდ რომ მომზადებულიყვნენ საატესტატო გამოცდებისთვის.

ტატო შავიშვილმა საატესტატო გამოცდების დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში გატარებულ რეფორმათა შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად შეაფასა და აღნიშნა, რომ საქართველოს საგანმანათლებლო ალიანსი მომავალშიც გააგრძელებს განათლების რეფორმის პროცესში აქტიურად ჩართული პედაგოგების დაჯილდოებას.

იმ სკოლის მასწავლებლებს, რომელთა მოსწავლეებმაც 2011 წლის საატესტატო გამოცდებზე დაბალი შეფასებები მიიღეს ან ჩაიჭრნენ, პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

აღნიშნული სკოლის დირექტორები განთავისუფლდნენ თანამდებობიდან. უმრავლეს სკოლაში კი გენინსპექცია შევიდა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, სწორედ სკოლის დირექტორები იყვნენ ვალდებულები, მასწავლებლებთან ერთად, რომ მოსწავლეებისთვის შეექმნათ სწავლისთვის საჭირო პირობები და გარემო.

2011 წლის საატესტატო გამოცდების ჩაბარების წინააღმდეგ გამოვიდნენ მოსწავლეები.

საპროტესტო აქციები იმართებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მაშინ მოსწავლეების არგუმენტი იყო, რომ ვერ მოასწრებენ გამოცდებისთვის მომზადებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რატომაც ამბობდნენ უარს საატესტატო გამოცდების ჩაბარებაზე.

მოსწავლეების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ გამოცდების ჩაბარების დრო გადავადებულიყო. თუმცა, მაშინ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ყველა ჩააბარებდა გამოცდას თუ არ ჩააბარებდა, იმ შემთხვევაში ვერც ერთი მათგანი შესაბამისად სკოლის დამთავრების მოწმობას, ატესტატს ვერ მიიღებდა.

რამდენიმე მოსწავლე ვერ გავიდა საატესტატო გამოცდაზე, მათი უარის მიზეზი სწორედ მოუმზადებლობა იყო.

მაშინ, საპროტესტო აქციებზე მოსწავლეები აცხადებდნენ, რომ მათ სკოლაში არაფერს ასწავლიდნენ, არა აქვთ ის ცოდნა, რომ გამოცდა ჩააბარონ.

საატესტატო გამოცდის ტესტები ითვალისწინებდა სკოლის მთელ პროგრამას, რომელიც მთელი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო გავლილი.

ფაქტია, რომ საატესტატო გამოცდების ჩაბარება მოუწევს ყველა მოსწავლეს, რომელსაც სურვილი ექნება, რომ ატესტატი აიღოს.

# წლის ბოლომდე 100 ათას სალარო აპარატს შემოიტანენ

ნათია ხურცილავა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში გუშინ საკონტროლო-სალარო აპარატების დანერგვა-დარიგების პროცესის პრეზენტაცია გაიმართა.



პრეზენტაცია მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვასილ გედევანიშვილმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ანო გოგიჩიძემ გამართეს.

პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ მეწარმეთა ნაწილს, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარს აღემატება, სალარო აპარატების შეძენისთვის 290 ლარის გადახდა მოუწევს.

პრეზენტაციზე ასევე აღინიშნა, რომ საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, გადამხდელთა ერთი ნაწილი საერთოდ თავისუფლდება სალარო აპარატების ქონის ვალდებულებისაგან.

როგორც ითქვა, საუბარია, კერძოდ, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებზე, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 30 ათას ლარს. მათივე ცნობით, ამ ეტაპზე შემოსავლების სამსახურში ასეთი სტატუსის მქონე 9713 მეწარმეა დარეგისტრირებული.

მეწარმეთა დიდ ნაწილს, შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით ახალი აპარატები უსასყიდლოდ გადაეცემა. საუბარია მცირე მეწარმის ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებზე, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარს არ აღემატება.

იმ მეწარმეებს კი, რომლებმაც სალარო აპარატებში 290 ლარი უნდა გადაიხადონ, შეუძლიათ ისარგებლონ ბანკის უპროცენტო განვადებით 12 თვის განმავლობაში.

ახალი სალარო აპარატების ნაწილი, როგორც ცნობილია, უკვე შემოტანილია საქართველოში, რომლის შემოტანასაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული ბულგარული კომპანია, რომელმაც წლის ბოლომდე 100 ათასი აპარატი უნდა შემოიტანოს. გადამხდელთა რეგისტრაციას კი „ჯორჯიან ნეტვორკ სერვიზი“ განახორციელებს. უკვე შექმნილია სპეციალური ბაზა, რომელშიც შევა მონაცემები ახალი საკონტროლო სალარო აპარატებიდან.

შემოსავლების სამსახურს მიუსვლელად შეეძლება მიიღოს 4 სახის ინფორმაცია.

„ჯორჯიან ნეტვორკ სერვიზის“ ტექნიკური ჯგუფი გადამხდელებს მოემსახურება შემოსავლის სამსახურის სერვის ცენტრებსა და ოფისებში, დაეხმარება მათ ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრაში, მომსახურება კი თვეში 5 ლარი ეღირება.

სალარო აპარატების დარიგების პროცედურა 3 ეტაპად მოხდება. ახალ აპარატებზე გადასვლის პროექტის განხორციელება პირველ რიგში დედაქალაქში მოხდება.

მეორე ეტაპი კი სექტემბრიდან დაიწყება და რეგიონებში განხორციელდება. პროექტის მესამე ეტაპი კი 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დამთავრდება. ძველი მოდელები ახლით სრულად ჩანაცვლდება, ხოლო 1012 წლის პირველი იანვრიდან დაიწყება მათი რეესტრიდან ამოღება.

აღნიშნული პროექტის განხორციელება ბიუჯეტს 13 მილიონი ლარი დაუჯდა.

## სააკაშვილი ნორვეგიის ტერაქტის დროს გადარჩენილ ქართველ გოგონას შეხვდა

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს ბათუმში, ნორვეგიაში მოხდარი ტერაქტისას გადარჩენილ ნათია ჩხეტიანს შეხვდა. პრეზიდენტმა აღშფოთება გამოთქვა ტერაქტის გამო და გოგონას მომხდარის მალე დავიწყება უსურვა.

სააკაშვილის თქმით, ტერორისტის დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ შესაბამისი სასჯელი არ არსებობს.

— ნათია ჩხეტიანმა ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა. გამიკვირდა, როგორ შეინარჩუნა წონასწორობა და სიმშვიდე. მართლა წარმოუდგენელი ბედნიერებაა, ის რომ გადარჩა. კიდევ უფრო უზარმაზი ტრაგედი,ა რაც თავს დაატყდა ლიპარტელიანების ოჯახს და მთელ საქართველოს.. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ სადღაც ვიღაცას ააფეთქეს, დამარხეს. ეს ბევრისთვის რჩება სტატისტიკად, სანამ უშუალოდ მათ არ შეეხება. დედისერთა გოგო, რომელსაც ოჯახმა ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და უსაფრთხო ქვეყანაში განათლება მისცა, ასეთი შემთხვევის მსხვერპლი გახდა, სწორედ იმ დროს, როცა ცხოვრების დიდ გზაზე უნდა გასულიყო. ცხოველი საქართველოშიც ცხოველია, სამხრეთ პოლუსზეც და ნორვეგიაშიც. ეს ყო ნამდვილი ცხოველი და სხვა სიტყვა აარ შეესამება. უამრავი ოჯახი გაუბედურა, — აღნიშნა პრეზიდენტმა და კიდევ ერთხელ სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულტა ოჯახებს.

**მედიანიუსი**

## თერჯოლის რაიონში გაურკვეველი წარმომავლობის ხანძარს ებრძვიან

თერჯოლის რაიონში ხანძარს ებრძვიან.

გაურკვეველი წარმომავლობის ცეცხლის კერები სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად ჩნდება.

სოფელ ღვანკითში ხანძარმა ჭანკვეტაძეების და რობაქიძეების ოჯახების საყოფაცხოვრებო ნივთები გაანადგურა.

**პირველი**

## სექტემბრიდან საავტორო უფლებათა ასოციაციაში ცხელი ხაზი ამოქმედდება

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, საინფორმაციო ცენტრ 09-ს მხარდაჭერით, ცხელი ხაზი ამოქმედდება.

ცხელი ხაზის საშუალებით, ავტორებს, შემსრულებელს და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ საავტორო უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფაქტის შესახებ აცნობონ ასოციაციას, ასევე მიიღონ უფასო კონსულტაცია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ცხელ ხაზზე 2 15 12 12 დაკავშირება უკვე პირველი სექტემბრიდან იქნება შესაძლებელი, — აცნობეს „მედიანიუსს“ საავტორო უფლებათა ასოციაციიდან.

ამასთან დაკავშირებით, ხვალ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა და საინფორმაციო ცენტრ 09-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. მემორანდუმს ხელს მოაწერენ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძე და საინფორმაციო ცენტრ 09-ს აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლოლაძე.

**მედიანიუსი**

## მოსკოვმა „მუსლიმანთა საძმოსთან“ პირდაპირი კავშირი დაამყარა

რუსეთის ფედერაციამ ეგვიპტის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ძალა „მუსლიმანთა საძმოსთან“ პირდაპირი კავშირი დაამყარა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აფრიკაში რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენელ სერგეი ვერშინინზე დაყრდნობით იუწყება.

წყაროს ინფორმაციით, რუსეთმა „მუსლიმანთა საძმოსთან“ კავშირი ამ უკანასკნელის მიერ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბებლ პარტია „თავისუფლება და სამართლიანობის“ ფარგლებში დაამყარა. ექსპერტების შეფასებით, ეგვიპტეში ნოემბრისთვის დანიშნულ საპარალამენტო არჩევნებში რუსეთის ფედერაციის დასაყრდენი სწორედ პარტია „თავისუფლება და სამართლიანობა“ (რომლის უკანაც, „მუსლიმანთა საძმო დგას) იქნება.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმმართველი ძალა სწორედ „მუსლიმანთ საძმო“ იყო, გავრცელებული ინფორმაციით, ეს ორგანიზაცია თავის დროზე ტერორისტულ ქსელ „ალ-ყაიდასთან“ თანამშრომლობდა..

**მედიანიუსი**

## „ვითიბი ბანკის“ ავლაბრის ფილიალში ხანძარი გაჩნდა

„ვითიბი ბანკის“ ავლაბრის ფილიალში ხანძარი გაჩნდა.

წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი ბანკის სამზარეულო ოთახში მდგომ ტელევიზორს გაუჩნდა.

ბანკის თანამშრომლებმა მას საკუთარი ძალით გაუმკლავდნენ, თუმცა შენობა რამდენიმე წუთში კვამლით აივსო, რის გამოც ბანკიდან პერსონალისა და კლიენტების ევაკუაცია გახდა საჭირო.

**პირველი**

## ბესელია შოთა იამანიძის სასამართლო პროცესზე მონიტორინგს განახორციელებს

სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ კიდევ ერთი პატიმრის საქმის შესწავლას იწყებს.

როგორც „მედიანიუსს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, მოძრაობის ლიდერი ეკა ბესელია პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პატიმრის , ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის შოთა იამანიძის საქმის მონიტორინგს იწყებს.

ბესელია იამანიძის სასამართლო პროცესზე მუდმივ მეთალყურეობას დააწესებს და საქმის მსვლელობას დააკვირდება საჭირო შემთხვევაში კი შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

აღნიშნულ საკითხზე „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ თავმჯდომარე ხვალ სპეციალურ ბრიეფინგს გამართავს.

შეგახსენებთ, რომ „ქართული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წევრი 25 წლის შოთა იამანიძე 7 მაისს ყაზბეგის გამზირზე ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

**მედიანიუსი**

## თურქეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

თურქეთში საქართველოს მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოქალაქე დააკავეს. დაკავებულს მოზარდების გაუფრთხილებლობით მკვლელობა ედება ბრალად.

თურქული მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქე, რომლის სახელი და გვარი არ კონკრეტდება, ორ მოზარდს მანქანით დაეჯახა, რის შედეგადაც ბავშვები დაიღუპნენ.

თურქი სამართალდამცველების ინფორმაციით, ქართველი მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, რამაც ტრაგიკული შემთხვევა გამოიწვია.

**პირველი**

## ისტორიის გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება

დღეს გამოცდების ეროვნული ცენტრი ისტორიის გამოცდის შედეგებს გამოაქვეყნებს. შედეგები გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავდება. აბიტურიენტები სპეციალური საძიებო სისტემის მეშვეობით შეძლებენ საკუთარი ნაშრომისა და შეფასების ნახვას.

გარდა ამისა, ყველა მობილური ოპერატორის აბონენტი საკუთარ შედეგს შეიტყობს მოკლე ტექსტური შეტყობინებით ამისათვის მათ აბიტურიენტის კოდი უნდა გაგზავნონ ნომერზე 6232. სააპელაციო განცხადებების მიღება ყველა გამოცდის შედეგის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყება.

**მედიანიუსი**

## პირობით ვადამდე 31 მსჯავრდებული გათავისუფლდა

31 მსჯავრდებული პირობით ვადამდე გათავისუფლდა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცნობით, მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა საბჭოებმა, ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ, 31 განცხადება დააკმაყოფილეს.

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მუშაობის პრინციპის თანახმად, განცხადებებს საბჭოები ყოველი თვის ბოლოს განიხილავენ, შემდეგ კი ზეპირი მოსმენა იმართება, რომელსაც მსჯავრდებული და ადვოკატი ესწრება.

5 წევრიანი საბჭოები დაკომპლექტებულია სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლებით. საბჭოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია, პერიოდულად, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ განიხილავს.

**ინტერპრესნიუსი**

## ადვოკატთა სოლიდარობის აქცია ევროსაბჭოს ოფისთან გაიმართება

ადვოკატთა სოლიდარობის აქცია დღეს, თბილისში, ევროსაბჭოს ოფისთან გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატთა ასოციაციიდან აცნობეს, სოლიდარობის აქციის მიზანია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ დაინახონ ადვოკატთა კორპუსის მიზანმიმართული დევნა. ადვოკატები მათი კოლეგების - რამინ პაპიძისა და ნაირა ოტიაშვილის დაკავებას აპროტესტებენ და სოლიდარობის აქციების გამართვას მიმდინარე კვირის ბოლომდე აპირებენ. აქციების ორგანიზატორია „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი. მისი განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ადვოკატ რამინ პაპიძეს თავს დაესხა მანდატური, რომელსაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ხატიაშვილის თქმით, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რამდენიმეჯერ მოხდა სასამართლოს მიერ მისი უკანონო დაჯარიმება.

— ადვოკატ რომან პაპიძის მიერ პროფესიული უფლებამოსილების შესრულება გახდა სასამართლოს მხრიდან გაღიზიანების საფუძველი, რაც მანდატურის თავდასხმით დასრულდა. მიუხედავდ იმისა, რომ ადვოკატი თავს იცავდა, მას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 10-დღიანი უკანონო პატიმრობა მიესაჯა, — განაცხადა ხატიაშვილმა და აღნიშნა, რომ ისინი ევროპულ ორგანიზაციებს დაცვას სთხოვენ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ბატონო შაშკინ, ძველი შპარგალკით მუშაობთ, მეთოდები დაგიძველდათ!“

## რატომ შეუერთეს 137-ე სკოლას გაუქმებული 164-ე სკოლა და ვინ დაზარალდა ამით

ქეთი ხომერიკი

**ბოლო ხანებში ქართულ განათლებას ერთი მნიშვნელოვანი სიახლე აქვს — ზედმეტი სკოლები დაიხურა და ამით განათლების ხარისხი გაცილებით უკეთესი გახდება, ვიდრე აქამდე იყო.**

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ძაღლის თავი კი იქ გახლავთ დამარხული, რომ არც საზოგადოებამ იცის საფუძვლიანად და დასაბუთებულად, რატომ არის ცუდი სკოლების ის რაოდენობა, რომელიც ამჟამად გვაქვს და რატომ იქნება უკეთესი, თუ სკოლების ეს რიცხვი განახევრდება. განათლების სამინისტრო აცხადებს, მე ასე მინდა, არ გეუბნებით, რატომ ვაკეთებ ამას, არ არის თქვენი საქმე, რამდენი სკოლა უნდა იყოს საქართველოში, არ მაინტერესებს, საზოგადოება რას ფიქრობს, მე ვარ გენიოსი, უკრიტიკო ფასეულობა და გადაწყვეტილებას ვიღებ მხოლოდ მეო. ჩვენი მოკრძალებული აზრი კი შესაძლოა ოდნავ განსხვავებული იყოს სკოლების გამსხვილებისა და მასწავლებელთა უფლებების შესახებ.

განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიულ კავშირ „ერთობის“ წარმომადგენლის დავით წიქარიშვილის მეშვეობით „ახალ თაობას“ დაუკავშირდა თბილისის 138-ე საჯარო სკოლის აწ უკვე გათავისუფლებული ბიოლოგიის მასწავლებელი, ქალბატონი ციალა ცხოვრებაძე.

**ციალა ცხოვრებაძე:** — 138-ე სკოლის კოლექტივი განთქმული იყო არამარტო თემქის ან ნაძალადევის, არამედ საქართველოს მასშტაბით თავისი პროფესიონალიზმით. ეს იყო ისეთი ერთი ოჯახი, რომელიც ერთნაირად ხიბლავდა როგორც ადგილობრივ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ასევე ყველაზე კრიტიკულად განწყობილ განათლების სამინისტროს თანამშრომლებს. ეს წელსაც დადასტურდა იმით, რომ ჩვენ მასწავლებელთა საატესტაციო ქულების ბარიერი ყველამ გადავლახეთ და ვიფიქრეთ, რომ ვართ წარმატებულნი და გვაქვს წარმატებული წელი. განაწილდა ახალი სასწავლო წლის საათები და ველოდებოდით შვებულებას. შვებულებაში გასვლის დღე ძალიან გაიწელა, მაგრამ გაირკვა, რომ გვიერთებენ ერთ-ერთ სკოლას. ჩვენ არ გვქონია არანაირი ტკივილი იმისა, რომ გვიერთებენ სხვა სკოლას, თუმცა გაირკვა, რომ ჩვენი დირექტორი იხსნება და იმ სკოლის დირექტორი მოდის...

***— როდის გაიგეთ ამის შესახებ?***

— ერთი კვირაა. ხმა გავარდა თანამშრომლებში, დირექტორს არ უთქვამს კონკრეტულად, შემთხვევით გავიგეთ. ვიცოდით, რომ გვიერთებენ სკოლას, რომელიც იხურება. იმ სკოლას თავისი აქტივები და პასივები აქვს, თავისი პედაგოგები ჰყავს. გაუქმებულია 164-ე სკოლა, ჩვენი არის 138-ე სკოლა. იმ სკოლის დასაცავად იმ კოლექტივს უნდა ებრძოლა და, რა თქმა უნდა, მტკივნეულია ეს დახურვა თავისთავად.

***— რა მიზეზით დაიხურა ის სკოლა?***

— არ ვიცი. 200 ბავშვი ჰყავთ და 46 პედაგოგი (?!). ეს თანაფარდობაც გაუგებარია. გვეუბნებიან, თქვენ ხართ ერთნი, გაჰერთიანდითო. ვითომ გაერთიანდით, სინამდვილეში კი ლიკვიდირებულია ის სკოლა, ანუ იმ სკოლის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი მოსწავლეები, მასწავლებლები და ადმინისტრაცია დაემატა ჩვენს სკოლას. ჩვენ რის საფუძველზე გაერთიანდით, არ ვიცი, დოკუმენტი არ მაქვს. დღემდე მოვიტანეთ ეს სკოლა მართლა დიდი შრომის შედეგად. დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე მოსწავლეებთან ვმუშაობდი, მე-7 გაკვეთილზეც კი ვრჩებოდი ხშირად და სრულიად უანგაროდ, უხელფასოდ. რა თქმა უნდა, მხოლოდ მე არა — მთელი კოლექტივი, რომ კარგად დასრულებულიყო ეს წელი, რადგან ძალიან რთული წელი იყო. გამოცდებში უნდა გაემარჯვათ ბავშვებს და მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვება იყო. ეს მოხდა კიდეც, ახლა კი ირკვევა, რომ უნდა შეგვამცირონ და ჩაგვანაცვლონ ახალი მასწავლებლებით. ამ დროს მე ვარ სკოლაში ერთი ბიოლოგი.

***— სულ რამდენი მასწავლებელია სკოლაში?***

— 45 მასწავლებელი და დაახლოებით 600 მოსწავლე. ჩვენ გვინდოდა გარკვევა. არავინ არაფერს გვეკითხება, არც მასწავლებელს, არც სასწავლო ნაწილს. ამ დროს გვყავს ძალიან გულისხმიერი სასწავლო ნაწილი. დირექტორი ისე გაათავისუფლეს, ვერ გავიგეთ მიზეზი. წინა კვირაში გაათავისუფლეს ქალბატონი მედეა გურგენიძე. ვკითხულობთ, რატომ გაათავისუფლეს დირექტორი და არავინ არაფერს გვეუბნება. მოიყვანეს ახალი დირექტორი, იყო შეხვედრა და თქვა, ალბათ ვითანამშრომლებთ და რამდენიმე მცირესაათიანი მასწავლებელი წავა სკოლიდანო, ოღონდ, ვინ იქნებიან ეს მასწავლებლები, დღემდე ვერ გავარკვიეთ. შემდეგ სასწავლო ნაწილს ვთხოვეთ, შეხვედროდა დირექტორს და დირექტორმა უთხრა, ორშაბათს გავარკვევო, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, თვითონ შევსულიყავით და გაგვერკვია, რატომ ან რის საფუძველზე ხდებოდა ეს, ანუ რის საფუძველზე გაგვათავისუფლებდა, მაშინ როცა ხელშეკრულებას ვადა არ ჰქონდა გასული. გვითხრა, გაგათავისუფლებთ მცირესაათიანებს და ალბათ კიდევ რაღაც მოტივები იქნებაო.

***— თქვენ მცირესაათიანების რიცხვში შედიხართ?***

— მე მქონდა 22 საათი. ერთი ბიოლოგი ვარ და ბიოლოგიის ყველა საათი, ცხადია, მქონდა მე. არ ვიცი, ვის მიიყვანენ ჩემ მაგივრად. დღეს თანამშრომლები ამბობდნენ, ბიოლოგიის მასწავლებელი ღირსეულია, მასზე დგას სკოლა, გამოცდაზეც გავიდა, ჯერ პასუხი არ არის და ხომ შეიძლება, გადალახოსო. გამოცდას კარგად რომ ჩააბარებს მასწავლებელი, ალბათ ცოტა უკეთესია, ვიდრე ის, ვინც ვერ ჩააბარებს. ვფიქრობ, ქულა ზღვარზე ბევრად მეტი უნდა მქონდეს.

***— ანუ პროფესიონალები არ სჭირდებათ?***

— ვფიქრობ, პროფესიონალები არ სჭირდებათ, რადგან ისეთ პედაგოგებზეა საუბარი, რომლებზეც დგას სკოლა.

***— რამდენი პედაგოგის გაშვებაზეა საუბარი?***

— ამბობენ, ათიო, ზუსტად არ ვიცი. მთელ კოლექტივზე დგას სკოლა, მაგრამ, გათავისუფლებული რამდენია, ზუსტად არ ვიცი, რადგან დაგვიანებით შევედი დირექტორთან შეხვედრაზე. ვეკითხები დირექტორს, რის საფუძველზე გამათავისუფლეთ, მომეცით საბუთი-მეთქი. მეუბნება, მე საბუთი არ მაქვს, კოლექტივთან გეტყვი, რომ რეორგანიზაცია მოხდაო. რეორგანიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ მაგისთვის გამათავისუფლო. ბიოლოგია არისო ორიო. მე ვუთხარი, რომ 138-ე სკოლას ჰყავს ერთი ბიოლოგი. ვინ მოჰყავს, არ ვიცი. მე შევხვდი რაიონის ერთ-ერთ ბიოლოგს, რომელიც აღშფოთებულია. თქვენ როგორ შეიძლება გაგათავისუფლონ და სხვა ვინმე მოიყვანონო. ასე იყო თუ ისე, დირექტორმა გამომიშვა იმ მიზეზით, რომ რეორგანიზაციის გამო გამათავისუფლა.

***— რეალური მიზეზი რა შეიძლება იყოს?***

— ისიც, რომ თავისი კადრები მოჰყავთ, რაღაც ხდება ქვეყანაში, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სკოლა დაიხურა და რატომ იხურება სკოლები, არ ვიცი, ეს ხომ ჩვენი ხვალინდელი დღეა, სახელმწიფო დგას განათლებაზე.

***— ყიდიან ამ სკოლებს და ალბათ მაგიტომ...***

— დიახ, ყიდიან სკოლებს.

***— ახლა რას აპირებთ?***

— არ ვიცი, უბრალოდ, მაინტერესებს, სადმე გავარკვიო სამართალი. შეურაცხყოფილი, მორალურად განადგურებული ვარ. არ ვიცი, რატომ გამომიშვეს, მაგდებენ ფაქტობრივად და მიზეზსაც ვერ მისახელებენ.

***— შვებულების ფული თუ მოგცეს დროზე, ქალბატონო ციალა?***

— ჯერჯერობით დღემდე არ გამოწერილა არც შვებულება და არც ხელფასი. 31 ივლისამდე უნდა გვევლო, დღეს კი 1 აგვისტოა. წინა დირექტორის დროს ხელი მოგვაწერინეს რაღაც ქაღალდზე, რომელიც ვითომ ჩვენი თხოვნით იყო. აღმოჩნდა, რომ 33-დღიანის ნაცვლად 24-დღიან შვებულებაზე მოგვაწერინეს ხელი. რომ გავაპროტესტე, ცოტა უხერხული პასუხები გამცეს.

***— ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ამ სკოლასაც დასახურად, უფრო სწორად, გასაყიდად ამზადებენ?***

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, სექტემბრისთვის თუ არა, სასწავლო წლის ბოლოსთვის ეს სკოლაც გაიყიდება.

...

**დავით წიქარიშვილი:** — არავითარი საფუძველი ქალბატონი ციალასა და მის მიერ დასახელებული მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლებისა არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ამ ხალხმა, უბრალოდ, იკითხა, რას გვერჩით, რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული თქვენს ხუშტურებზე და არა ჩვენი შრომის შედეგებზეო. დარწმუნებული ვარ, აქ მუშაობს ის პოლიტიკა, რომელიც პროფესიონალების „ჩარეცხვას“ ემსახურება. ამ მასწავლებლების გაშვებით იმდენად ეს მასწავლებლები არ დაზარალდებიან, რამდენადაც მოსწავლეები, თუმცა, მეეჭვება, ეს ვინმეს აღელვებდეს.

ყოფილი მანდატურის, ამჟამად გაერთიანებული სკოლის დირექტორის ლიტონი განცხადების გარდა, არავის არავითარი დოკუმენტი არ გააჩნია, რომელშიც მითითებული იქნება, რით გამოიხატება 138-ე სკოლის რეორგანიზაცია და რატომ უნდა აგოს პასუხი 138-ე სკოლამ იმის გამო, რომ 164-ე სკოლას არაპროფესიონალები მართავდნენ („ერთობის“ პოზიცია აქვე მინდა დავაფიქსირო — კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ნებისმიერი სკოლის დახურვის).

თქვენი მეშვეობით მინდა მივმართო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ შაშკინს — ძველი შპარგალკით მუშაობთ ჯერ კიდევ, მეთოდები დაგიძველდათ...



137-ე საჯარო სკოლა

## ფსიქოტროპული მედიკამენტების რეალიზაციის ფაქტზე ექვმიტანილები დააკავეს

თბილისში შსს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებმა ფსიქოტროპული მედიკამენტების არაერთხელ უკანონო რეალიზაციის ფაქტზე ეჭვმიტანილები დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ცნობით, დაკავებულები არიან, საქართველოს მოქალაქეები: ქეთევან დანელია და ბადრი სულიკაშვილი. აღნიშნულმა პიროვნებებმა, 1 აგვისტოს, თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოიტანეს 10800 აბი აქტიფედი„, შემდგომში მისი სათანადო ნებართვისა და რეგისტრაციის გარეშე რეალიზაციის მიზნით.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192 ე მუხლის II ნაწილის ა„ ქვეპუნქტით. გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული სამმართველო აწარმოებს.

ინტერპრესნიუსი

# ადა მარშანია: „აფხაზეთის არჩევნებზე ლაპარაკი სწორი არ იქნება“

გულიკო ბალა ე

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბაღაფშის საეჭვო გარდაცვალების შემდეგ აგვისტოს ცხელ დღეებში აფხაზეთში ე.წ. პრეზიდენტის ე.წ. არჩევნებისთვის ემზადებიან.

სერგეი ბაღაფშის გაპრეზიდენტებას თავის დროზე საქართველოს ხელისუფლება და ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი დიდი იმედებით შეხვდა. ამაზე მათ ხმამაღალი განცხადებებიც გააკეთეს.

რა დამოკიდებულება აქვს ახლა ქართულ პოლიტიკურ სპექტრს აფხაზეთში დანიშნული არჩევნებისა და ასარჩევი ლიდერების მიმართ?

ამ კითხვით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ადა მარშანიას მივმართეთ.



***— ქალბატონო ადა, რა დამოკიდებულება გაქვთ ამჟამად აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მიმართ, კერძოდ, აგვისტოში დანიშნულ ე.წ. არჩევნებთან დაკავშირებით?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი არ მსურს და სხვებსაც ვურჩევ, არ ისაუბრონ.

***— რატომ?***

— მაშინ ბაღაფშს ცუდი საქმე გაუკეთეს — გამოხტნენ და რაღაცეები იყვირეს, ქართველ პოლიტიკოსებს არ ვურჩევ მსგავსი განცხადებების გაკეთებას.

***— სიტუაცია ზოგადად რომ შევაფასოთ?***

— სამწუხაროდ, ყველა არჩევნები, რომელიც ასეთ პირობებში ტარდება აფხაზეთში („ასეთ პირობებში“ მე ვგულისხმობ კანონიერი ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე), რასაკვირველია, უკანონოა და ჩვენთვის მიუღებელია. ეს არ არის გასახარებელი ამბავი. ეს უხარია კრემლს, რომელიც ცეკვავს, თამაშობს და მღერის. ჩვენ სულელებმა კი რა გავაკეთეთ?! სულელებმა — აფხაზებმა და ქართველებმა.

***— ქართული პოლიტიკური ელიტა რამდენად სწორად იქცევა ასეთ სიტუაციებში?***

— ქართული პოლიტელიტა ასეთ სიტუაციებში და სხვადასხვა სიტუაციებში იქცევა უჭკუოდ და ზოგჯერ პროვოკაციულად. მე მგონი, შედეგიც სახეზეა. პოლიტელიტა არ გვივარგა, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა. გვყავს ძალიან კარგი, ღირსეული, ჭკვიანი, პატიოსანი ხალხი საზოგადოებაში, ზოგადად, მაგრამ იმ ხალხს არ უნდა პოლიტიკური აქტიურობა და სერიოზული პოლიტიკური საქმიანობა. ახალი პოლიტიკური ძალა უნდა გამოჩნდეს.

***— აფხაზეთთან დაკავშირებით, რა შეცდომები დაუშვა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ და საქართველოს ხელისუფლებამ?***

— მილიონი შეცდომა დაუშვა. შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ. რომელი ერთი გითხრათ. თუ თქვენ ამ თემაზე კონკრეტული პასუხები გინდათ, შემდგომში დავსხდეთ სასაუბროდ და მსხვილ-მსხვილ შეცდომებს ჩამოგითვლით, წვრილ-წვრილს — არა.

***— იქნებ ახლა რამდენიმე გვითხრათ.***

— მაგალითად, დიდი შეცდომა და სისულელე იყო საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა 1992 წელს და ა.შ.

***— 1921 წლის კონსტიტუცია რომ არ აღედგინათ?***

— 1921 წლის კონსტიტუცია რომ არ აღედგინათ და კიდევ სხვა შეცდომები არ დაეშვათ, ვითარება სხვაგვარი იქნებოდა. ავტონომიების მიმართ ძალიან ცუდი იყო 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა. შემდეგ იმ ხალხმა, ვინც დავინახეთ, რომ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა კარგი არ იყო, ვეცადეთ სიტუაციის გამოსწორება. სამხედრო საბჭომ კი მიიღო დათქმა, მაგრამ დათქმას ვინ კითხულობს და ვის ახსოვს.

***— რა დათქმაზე საუბრობთ?***

— დათქმა მიიღეს, რომ ავტონომიების მიმართ იქნებოდა ცალკე საუბარი, მოლაპარაკება და ეს საკითხი ცალკე განიხილებოდა და კონსტიტუციის აღდგენა ავტონომიებს არ შეეხებოდა, მაგრამ ეს ვის ახსოვს? არავის.

***— დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებას ამ საკითხების მიმართ როგორ აფასებთ?***

— დღევანდელ ხელისუფლებას აბსოლუტურად დაკარგული აქვს ნდობა. თავიდან ნდობა ჰქონდა. იმიტომ, რომ რევოლუციურ ტრიუმვირატს აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებასა და მის მიმდინარეობაში მონაწილეობა არ მიუღია.

***— ე.ი. რევოლუციურ ტრიუმვირატს შანსები ჰქონდა აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად?***

— თავიდან ჰქონდა გარკვეული შანსი აფხაზეთთან დაკავშირებით, რადგან ბიოგრაფია სუფთა ჰქონდათ იმ მხრივ, რომ მათ არ მიუღიათ უშუალოდ გადაწყვეტილება და იმ პერიოდში ხელისუფლებაში არ იყვნენ, ჟვანიას გარდა. ჟვანიასაც არ ჰქონდა ისეთი მდგომარეობა, რომ აფხაზეთის საკითხში რაიმეს გადამწყვეტელი ყოფილიყო. ბურჯანაძე და სააკაშვილი მაშინ საერთოდ არ იყვნენ პოლიტიკაში. მაგრამ სააკაშვილმა შემდეგ ისეთი განცხადებები გააკეთა და ისეთ ქმედებებზე გადავიდა, რომ მის მიმართ ნდობა მოკვდა. აფხაზები კი არა, ჩვენ ვენდობით ჩვენს ხელისუფლებას საერთოდ რაიმეში?

***— თუმცა, რევოლუციურ ტრიუმვირატს იმ სასტარტო პირობებში რაც ჰქონდათ, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, რის გაკეთება შეეძლო?***

— ახლა ძალიან სერიოზულ საკითხს მივადექით. ამაზე სხვა დროს ცალკე ვისაუბროთ.

# „როცა ჩვენ ქართულ დიპლომატიას ვქმნიდით, ზოგიერთი ახლანდელი დიპლომატი საბალეტო მენეჯმენტით იყო დაკავებული“



რატომ არის თედო ჯაფარი ე ნაწყენი გრიგოლ ვაშა ეზე

**საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებსა და საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით საქართველოს პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს უშიშროების საბჭოს ექსმდივანსა და საგარეო საქმეთა ექსმინისტრს, ამერიკანისტს, თედო ჯაფარიძეს ესაუბრა.**

*— ბატონო თედო, როგორია ევროპელ დიპლომატთა თვალით დანახული საქართველო?*

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ დიდ პატივს ვცემ თქვენს სააგენტოს, როგორც ყველაზე ოპერატიულს, ობიექტურს და ადექვატურს, ზომიერს და დაბალანსებულს. მეორე, რისი თქმაც თავიდანვე მინდა, გახლავთ ის, რომ ამ ინტერვიუში გამოვხატავ მხოლოდ ჩემს საკუთარ მოსაზრებებს — ამ მომენტისთვის მე არც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში და არც რომელიმე ოფიციალურ სტრუქტურაში არ ვმუშაობ. ახლა კი, თქვენს კითხვას მიუბრუნდეთ.

ვერ გეტყვით, რომ ბოლო 3 წელი ყოველდღიურად საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების უმაღლეს ეშელონებში ვტრიალებდი. ეს პერიოდი ათენში, შავი ზღვის პრობლემების შესწავლის საერთაშორისო კვლევით ცენტრში გავატარე, რომელიც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკ-ის) სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია. არ მახსოვს საქართველოს საგარეო სამინისტროდან გამოგზავნილი ერთი ანალიტიკური მასალა მაინც, რომელიც შავი ზღვის რეგიონის პრობლემატიკას ან მისი განვითარების გზებს და პერსპექტივებს ეხებოდა. თუმცა, ამ უწყებას შეიძლება „აქტივში“ და აქტიურობაში ჩავუთვალოთ ბისეკ-ის ისტორიაში ის უპრეცედენტო 6-თვიანი დიპლომატიური ბაქხანალია, საგარეო სამინისტროს მოხელეებმა ჩემთან დაკავშირებით რომ გააჩაღეს. ეს ტრაგიკომიკური ისტორია არც კი ღირს გასახსენებლად. ამიტომ, ისევ თქვენს კითხვას დაუბრუნდეთ: თუნდაც, ბისეკ-ის მასშტაბით და იმ კულუარული დიპლომატიის კონტექსტში, რომელსაც ადგილი აქვს ამ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში, საქართველო თითქმის არ ჩანს, არ იკვეთება მისი რეგიონული ხედვა. თითქოს ის ამოვარდნილია ამ შავი ზღვის რეგიონული დისკურსიდან.

როგორც ბისეკ-ის წევრი ქვეყანა, ყოველწლიურად საქართველო საკმაოდ სოლიდურ გადასახადს იხდის და ამ თანხის კომპენსირება ალბათ უფრო მეტი აქტიურობით შეიძლებოდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თუ დალაგდება ურთიერთობები ევროპას, ამერიკას და რუსეთს შორის, მაშინ გაცილებით ადვილი იქნება ამ სივრცეში არსებული პრობლემების მოგვარება. ითვლება, რომ ევრაზიის სივრცეში პასუხისმგებლობა სტაბილურობასთან დაკავშირებით რუსეთმა უნდა ითავოს. მე ამ თეზისს პრინციპულად არ ვეთანხმები და ვცდილობ დავამტკიცო, რომ ეს აპრიორი შეუძლებელია მოხდეს, ვინაიდან მე ვთვლი, რომ რუსეთმა ჯერ უნდა დაალაგოს სიტუაცია საკუთარი ქვეყნის შიგნით, მერე კი — ყოფილ საბჭოთა სივრცესთან. სანამ ეს არ მოხდება, დასავლეთს ვერასოდეს ეყოლება პარტნიორად ისეთი რუსეთი, როგორიც მას სურს, რომ ჰყავდეს.

***— ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო პერიოდულად იღებენ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოს მხარდამჭერ რეზოლუციებს. რას შეიძლება ნიშნავდეს სტატუს-კვოს ვითარება, რომლის არსებობა, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე, საქართველოს გარდა ყველას აწყობს? და კიდევ, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს არსებული ვითარება?***

— არც ევროპა და არც ამერიკა საქართველოს გულისთვის რუსეთთან ომს არ დაიწყებენ. იქნება სიმპათიები, მხარდამჭერი განცხადებები და რეზოლუციები, მაგრამ ეს მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მოთამაშეების პოლიტიკას არ შეცვლის. სად არის გამოსავალი? დღეს მსოფლიოში დიდი კომპრომისის ძიება მიმდინარეობს, ეს რთული და ხისტი პროცესია, რომელსაც ახასიათებს კონიუნქტურული ხასითის გარიგებებიც, რომლებიც ძირითადად სუსტი სახელმწიფოების ხარჯზე ხდება. ამ ურთულეს გამბიტში სუსტმა ქვეყნებმა საკუთარი ნიშა უნდა მონახონ, საკუთარ და კარგად გათვლილ პრაგმატულ სვლებზე უნდა იფიქრონ. ამიტომ, საქართველომ თვითონ უნდა მონახოს საკუთარი სტრატეგიული ნიშა და ის არ უნდა იყოს „მუდმივი პრობლემა“, როგორც ეს აღქმულია ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ან ამგვარად არის მიტანილი გარედან. საქართველო უნდა გახდეს ხიდი, რომლის საშუალებითაც გვარდება რაღაც, თუნდაც ლოკალური ხასიათის პრობლემები და ხელი ეწყობა სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარებას რეგიონში. მაგრამ ეს რომ მოხდეს, მაგალითად, ჩვენ ის კი არ უნდა გვიხაროდეს, რომ ამერიკა და რუსეთი ვერ რიგდებიან საქართველოს საკითხის გამო, პირიქით, ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ორი ქვეყნის შეთანხმება — ჩვენი ინტერესების სრულად დაცვით — უნდა გვახარებდეს. ვინაიდან, რაც უფრო კონსტრუქციული და პრაგმატული იქნება ურიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის და საერთოდ დასავლეთსა და რუსეთს შორის, მით უფრო ადვილად მოგვარებადი იქნება ჩვენი პრობლემებიც.

***— ახლახან აშშ-ს სენატმა საქართველოს მხარდამჭერი მორიგი რეზოლუცია მიიღო. მოსკოვს ოკუპანტი უწოდა და მას კატეგორიულად მოსთხოვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების დატოვება. პარალელურად, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გადატვირთვის პოლიტიკაა გამოცხადებული, ვაშინგტონი აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას. რამდენად სავარაუდოა, გვქონდეს იმის იმედი, რომ საქართველოს პრობლემატიკასთან დაკავშირებით აშშ-ს მიერ რუსეთის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ხელშესახები და კონკრეტული აღმოჩნდება?***

— ძალიან კარგი, რომ ამერიკის კონგრესის ზედა პალატამ, სენატმა, მიიღო ასეთი რეზოლუცია და ამერიკულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტრურა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის ურღვევობა, რეზოლუციაში დაფიქსირდა აგრესიის და ოკუპაციის ფაქტები. მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დოკუმენტს არ აქვს იურიდიული ძალა და მხოლოდ სენატის აზრს და მიდგომას გამოხატავს. და, რაც ჩვენთვის მთავარია, ეს რეზოლუცია ვერ აიძულებს რუსეთს, უკან წაიღოს უკვე მიღებული გადაწყვეტილებები. სამწუხაროდ, ეს არ მოხდება. ამგვარი რეზოლუციები ქმნიან სათანადო ფონს, მაგრამ ძირითადი საქმე აქ, საქართველოში, უნდა გაკეთდეს, დაიწყოს ყოვლისმომცველი დიალოგი ჩვენსა და აფხაზებს და ჩვენსა და ოსებს შორის. გასაგებია, რომ ეს არ არის ადვილი და ამ მომენტისთვის არც აფხაზები და არც ოსები არ იჩენენ დიდ ენთუზიაზმს. ისიც გასაგებია, რომ რუსეთს გულზე არ ეხატება ამგვარი დიალოგის დაწყება და ამ რეგიონში თავის მრავალსაუკუნოვან საწადელს ისრულებს... მაგრამ ხელისუფლების ვალია რუსეთთან ურთიერთობების დალაგება და მათი პრაგმატულ კალაპოტში ჩაყენება. ამის თაობაზე გამუდმებით საუბრობენ დასავლეთში, ჩვენთან და რუსეთშიც კი, თუმცა ყველას საკუთარი ინტერესი ამოძრავებს და ეს გასაგებიც არის. მთავარი კი არის ის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს ურთიერთობები, რა სახის კომპრომისი გახდება მათი საბაზისო ელემენტი. ეს ყველაზე რთული საქმეა და ამ მხრივ პერსპექტივა უკიდურესად მძიმეა.

***— რუსულ საექსპერტო წრეებში ბევრი დარწმუნებულია, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კრემლში პუტინი დაბრუნდება. როგორ შეიძლება აისახოს საქართველოზე ან პუტინის კვლავ გაპრეზიდენტება ან მედვედევის პრეზიდენტის სავარძელში დარჩენა?***

— მე მგონი, ჩვენ დიდად არ უნდა გვაწუხებდეს, თუ ვინ იქნება რუსეთის პრეზიდენტი 2012 წელს. ამ მხრივ არჩევანი ჩვენთვის არის ცუდსა და უარესს შორის. მე აქცენტებს უფრო იმაზე გავაკეთებდი, თუ რა მოხდება საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე; რამდენად აისახება ამ არჩევნების შედეგებში საქართველოს მოქალაქეების ნება, რამდენად პოლიტიკურად და ეკონომიკურად გამართული და მდგრადი იქნება თვითონ საქართველო და მისი პოლიტიკური სისტემა, რამდენად პრაგმატული, რეალისტური და პროგროზირებადი იქნება ჩვენი პოლიტიკა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, რამდენად ძლიერი იქნება საქართველო, რომ გაუმკლავდეს შიდა და გარე გამოწვევებს და საფრთხეებს. ნებისმიერი სახის დახმარება და მხარდაჭერა გარედან, იქნება ეს ფულადი, ან თუნდაც ამერიკის კონგრესის ან ევროკავშირის რეზოლუციები, მხოლოდ მაშინ იქნება ქმედითი, თუ საქართველო საკუთარ თავს პირველ რიგში თვითონ დაეხმარება.

***— რამდენიმე თვის წინ, ათენში, შავის ზღვის პრობლემების შესწავლის საერთაშორისო კვლევით ცენტრში თქვენ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო სამინიტრომ უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა, რითაც ბევრის გაკვირვება გამოიწვია. ბატონო თედო, თქვენი საუბრიდან უკვე გავიგეთ, რომ ჩვეულებრივი ქართველი უმუშევარი ხართ, მაგრამ გაუმჯობესდა თუ არა ურთიერთობები თქვენსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის?***

— 1 ივლისს დროზე ადრე დავამთავრე საქმიანობა ბისეკ-ის შავი ზღვის პრობლემების შესწავლის საერთაშორისო კვლევით ცენტრში. მანამდე კი მოხდა ის, რაც მოხდა: საქართველოს საგარეო სამინისტრომ დაიკავა უაღრესად ხისტი და არადიპლომატიური პოზიცია. ზემოთ მოგახსენეთ კიდევაც, რომ ამ თემაზე ლაპარაკიც კი არ მინდა. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს საგარეო სამინისტროდან არავინ შემხმიანებია, თუნდაც ტელეფონით და ერთი სიტყვაც არავის უთქვამს. ეს ურთიერთობა ნოტების საშუალებით მიმდინარეობდა და თანაც ბისეკ-ის მასშტაბით. თვით ამ ნოტების სტილი და შინაარსი უნდა იყოს შეტანილი ქართული დიპლომატიის სახელმძღვანელოში (თუ ასეთი არსებობს) გრიფით „როგორ არ უნდა იქცეოდეს ქართველი დიპლომატი“.

ეს ყველაფერი მე უკვე მივიწყებული მაქვს. უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა და მინდა შეგახსენოთ, რომ თანამედროვე ქართული დიპლომატიის ისტორია 1990-იან წლებში დაიწყო და ამ პროცესს საფუძველი ჩაუყარეს, პირველ რიგში, პრეზიდენტებმა — ზვიად გამსახურდიამ და ედუარდ შევარდნაძემ და საგარეო მინისტრებმა. მე და ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს გვხვდა ბედნიერება, გარკვეული და მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ქართული დიპლომატიის შექმნაში. ბუნებრივია, ამ გზაზე უამრავი წინააღმდეგობა შეგვხვდა და ალბათ უამრავი შეცდომაც დავუშვით, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდით, პირნათლად და წესიერად შეგვესრულებინმა ჩვენი მოვალეობები. ზოგიერთი მათგანი, გიგა ბურდული, ლევან მიქელაძე, სამწუხაროდ, ჩვენთან უკვე აღარ არიან. იმ პლეადის დიპლომატების უმრავლესობა კი დღეისთვის ქუჩაშია და უმუშევარია. არადა, მათ უნიკალურ პოტენციალთან ერთად, უგულვებელყოფილია კოლექტიური და ინსტიტუციური მეხსიერება, რისი გამოუყენებლობაც დანაშაულია. რთული დრო გავიარეთ. იმ დროს დღევანდელი ქართული დიპლომატიის ზოგიერთი მესვეური საბალეტო მენეჯმენტით ან კიდევ რაღაც კერძო ბიზნესებით იყვნენ დაკავებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს სიტყვამ მოიტანა და თანაც, უნდა ვაღიარო, რომ რაღაც არადიპლომატიურად გამომივიდა. თუმცა, მთელი ჩვენი ინტერვიუ, პრინციპში არადიპლომატიურია.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, მაქვს რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება. სიამოვნებით დავრჩებოდი საქართველოში და ახალგაზრდებთან ვიმუშავებდი. მაგრამ, ეტყობა, ეს მხოლოდ ოცნების დონის სურვილი და ნატვრაა. თუმცა, ოცნება და ნატვრა ხომ ჩვენი ქართული დროსტარების ერთ-ერთი თანმხლები და განუყოფელი ნაწილია.

## პოტერიანას ბოლო ფილმის შემოსავალმა მილიარდს გადააჭარბა




პოტერიანას სერიის ბოლო ფილმის, „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები 2“ მსოფლიო კინოგაქირავების შემოსავალმა 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ამ განცხადებით კომპანია უორნერ ბრაზერსის დისტრიბუტორები გამოვიდნენ.

პოტერიანის არც ერთმა წინამორბედმა ფილმმა მილიარდი დოლარის მოგროვება ვერ მოახერხა. კინოკომპანიის მონაცემებით, ამასთან ფილმმა მილიარდის ნახევარზე მეტი, 690 მილიონი აშშ-ის ფარგლებს გარეთ მოაგროვა.

წარსულში პოტერიანას ფილმებს შორის ყველაზე შემოსავლიანი იყო პირველი სურათი, „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“, რომლის შემოსავალმა მსოფლიო გაქირავებაში 974 მილიონი დოლარი შეადგინა. მიმდინარე მომენტისათვის სალაროს შემოსავლების რეკორდი ფილმ „ავატარს“ ეკუთვნის, რომელმაც 2.8 მილიონი დოლარი მოაგროვა.

მოსალოდნელია, რომ ჰარი პოტერის ფინალური ფილმი შემოსავლების მიხედვით წლის ლიდერს, „კარიბის ზღვის მეკობრეების“ მორიგ ფილმს გაუსწრებს, რომელმაც ავტორებს 1.03 მილიარდი დოლარი მოუტანა.

**გ.თ.**

## ბათუმის ბიუჯეტი 2 მილიონ 528 ათასი ლარით გაიზარდა

ბათუმის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა, რომლის თანახმადაც, ქალაქის ბიუჯეტი 2 მილიონ 528 ათასლი ლარით გაიზარდა და 213 მილიონ 354 ათას 400 ლარი შეადგინა.

აღნიშნული გადაწყვეტილება დღეს რიგგარეშე სხდომაზე ბათუმის საკრებულომ ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მიიღო.

როგორც „მედიანიუსს“ ბათუმის საკრებულოს პრესსამსახურის უფროსმა გურანდა აბულაძემ განუცხადა, ბიუჯეტი საქართველოს მთავრობის ფინანსური დახმარების ხარჯზე გაიზარდა.

გამომდინარე გაზრდილი ბიუჯეტიდან, ბათუმში მიმდინარე ზაფხულს დაგეგმილ ღონისძიებებს კიდევ ორი საერთაშორისო ფესტივალი დაემატა.

— ამ ზაფხულს ბათუმში „უძლიერესი მამაკაცების საერთაშორისო ფესტივალი“ ჩატარდება, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც მძლეოსნები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვლენ. აღნიშნული ფესტივალი ბათუმში წელს მეორედ ჩატარდება. გარდა ამისა, ბათუმი უმასპინძლებს ოპერატორების საერთაშორისო ფესტივალს „ოქროს თვალი“, — განაცხადა გურანდა აბულაძემ.

ბათუმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გუშინ სულ 39 საკითხი განიხილეს. მათ შორის, ძველი ბათუმის საზღვრების გაზრდისა და ქალაქის ისტორიულ უბანში სარეაბილიტაციო ზონის შექმნის საკითხები. ბათუმს შემოერთებული ტერიტორიების ხარჯზე 19 ახალი ქუჩა დაემატა.

**მედიანიუსი**

## ჰაერის ტემპერატურის მატებამ პატიმრების მდგომარეობა გააუარესა

12 არასამთავრობო ორგანიზაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიმართავს, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები და სასჯელარსრულების დაწესებულებებში ვენტილაციასთან დაკავშირებული პრობლემები აღმოფხვრას, რათა პატიმრებს შეექმნათ სასჯელის მოხდის ადამიანური პირობები. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

— არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვხატავთ შეშფოთებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გამო. ბოლო პერიოდში საქართველოში ტემპერატურამ საგრძნობლად იმატა, რამაც პატიმრების მდგომარეობა საპყრობილეებში მნიშვნელოვნად გააუარესა. კერძოდ, საკნები არ არის აღჭურვილი ვენტილაციის სისტემით. რიგ შემთხვეევბში პრობლემებია წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, რის გამოც ზაფხულის პერიოდში უფრო გაუსაძლისი ხდება პატიმრების მდგომარეობა. ამ ვითარებაში განსაკუთრებით გართულდა იმ პატიმართა მდგომარეობა, რომლებიც სასჯელს იხდიან დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ამასთან, კრიტიკულია იმ პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებსაც აქვთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, — ნათქვამია არასამთავრობოების განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.

— პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, პატიმრებისათვის განკუთვნილი ყველა ადგილსამყოფელი და განსაკუთრებით საძინებელი ადგილი უნდა პასუხობდეს ჯანმრთელობის ყველა მოთხოვნას და უნდა ითვალისწინებდეს სათანადო კლიმატურ პირობებს, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ჰაერის მოცულობას, მინიმალურ ფართს, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა პატიმრობის ადეკვატური პირობების შესაქმნელად და უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები შესაბამისი აღჭურვილობით, რათა შენარჩუნდეს ნორმალური ტემპერატურული რეჟიმი და საფრთხე არ შეექმნას პატიმართა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მივმართავთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები და აღმოფხვრას ვენტილაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რათა პატიმრებს შეექმნათ სასჯელის მოხდის ადამიანური პირობები, — ვკითხულობთ მიმართვაში.

**მედიანიუსი**

# სკანდალის მიუხედავად, ბათუმი „გოლდენ ტალენტისთვის" ემზადება

ეკა ირემაშვილი



ბათუმში პირველი საერთაშორისო სატელევიზიო მუსიკალური ფესტივალი ჩატარდება. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალის ჩატარების გამოცხადებიდან მის დასკვნით ღონისძიებამდე არაერთი სკანდალი მოხდა, ფესტივალის ორგანიზატორებმა ფართო საზოგადოებას „გოლდენ ტალენტის" კომიტეტის ახალი თავმჯდომარე ფრედ ფრენჩი წარუდგინეს. მასთან ერთად საზოგადოებას გაეცნო ფესტივალის პიარი სალომე გოგიაშვილი. ღონისძიების კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ და პიარმა ახალ გეგმებზე დაწვრილებით ისაუბრეს.

ფესტივალი „გოლდენ ტალენტ 2011 ბათუმი" უკვე შემდგარი ვარსკვლავების კონკურსია და 7-დან 11 სექტემბრის ჩათვლით, ზღვისპირა ქალაქი მსოფლიოს 21 ქვეყნის პოპულარულ შემსრულებელს უმასპინძლებს.

კონკურსი ახალ ბულვარში გაიმართება, კომპანია „ჯორჯიან არტ ფესტისა" და ბათუმის მერიის ორგანიზებით. კონცერტზე დასწრების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ 4-დღიანი აბონემენტი, რომლის ფასიც 160-დან 800 ლარამდე იქნება.

საქართველოს საერთაშორისო კონკურსზე სალომე ქათამაძე წარადგენს, რომლის საუკეთესოთა შორის არჩევასაც დიდი გაუგებრობა მოჰყვა. ბევრმა იმაზე დაიწყო საუბარი, რომ ჟიურიში არაპროფესიონალები ისხდნენ, ბევრი წინასწარ ჩაწყობაზე ალაპარაკდა. ასეთ ბაკქანალიაში კონკურსი დატოვა მომღერალმა მარკო მეტრეველმა, ეკა კვალიაშვილის შვილმა ნუკა გვალიამ კი კონკურსი მეორე ტურიდან დატოვა, რადგან მისი განცხადებით, უკვე ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი და გარკვეული. მაყურებლის აზრით კი, ნუკა ჟიურიმ უბრალოდ დაჩაგრა და დაბალი ქულებიც არასამართლიანად დაუწერა.

ბათუმში დაგეგმილ ფესტივალში მონაწილეობა რუსეთის წარმომადგენელ ვიქტორია ჩერენცოვას რუსებმა აუკრძალეს. ფესტივალზე ჩამოსასვლელად ემზადებიან კონკურსანტები ესპანეთიდან, იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა განმარტეს, რუსეთის წარმომადგენელი ფესტივალს გამოეთიშა. ფესტივალ „გოლდენ ტალენტის" პროდიუსერ ეკატერინე ჩიტაშვილის სახელზე უკვე მოვიდა ვიქტორია ჩერენცოვას პროდიუსერ ლუდოვიკ გეგელსკის წერილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ ის დაიბარეს „ოსტანკინოში", სადაც შეხვდა ერთ-ერთ გავლენიან პიროვნებას, რომელმაც უთხრა, რომ ჩერენცოვას უნდა დაეტოვებინა კონკურსი „გოლდენ ტალენტი". „გოლდენ ტალენტის" პროდიუსერთან პირადი საუბრისას ჩერენცოვას პროდიუსერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოსკოვის დუმაშიც განიხილეს, სადაც საკითხი მომღერლისთვის უარყოფითად გადაწყდა.

ვიქტორია ჩერენცოვას და მის პროდიუსერს ლუდოვიკ გეგელსკის გული სწყდებათ, რომ ეთიშებიან ფესტივალს, რადგან ისინი არა მხოლოდ მონაწილეობას, არამედ გამარჯვებასაც გეგმავდნენ. მოგვიანებით ვიქტორიამ თავისი პოზიცია შეცვალა და განმარტა, რომ ამ ფესტივალიდან მის გამოთიშვას არანაირი პოლიტიკური მიზეზი არ აქვს და რომ იგი ფესტივალს მხოლოდ პირადი პრობლემების გამო გამოეთიშა.

●

გასულ თვეში ეს ფესტივალი და მისი ორგანიზატორები კვლავ მოექცნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. დათო ოქიტაშვილმა, რომელიც ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო, კონკურსი დატოვა.

მართალია, დათო ოფიციალურ განმარტებას არ აკეთებს, მაგრამ როგორც გაირკვა, კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ეკა ჩიტაშვილი, რომელიც უცხოელი ვარსკვლავების ჩამოსვლის საკითხს აგვარებს, ორგანიზებითა და ქართველების მუშაობით უკმაყოფილო დარჩა და საკუთარი პრეტენზიებიც ღიად დააფიქსირა. მისი გადაწყვეტილებით, ქართველების ნაწილი ამ კონკურსში უცხოელებით ჩანაცვლდა და, რაც მთავარია, კონკურსს უცხოელი დირექტორი ჰყავს.

ამბობენ, ფესტივალის შიგნით ძალიან დიდი დაპირისპირება ყოფილა, ჟიურის მუშაობაზეც, საბოლოო შედეგზეც და ტექნიკურ საკითხებზეც. ეკა ჩიტაშვილი გაბრაზებული ყოფილა იმაზეც, რომ დათო ოქიტაშვილმა დააანონსა ჯენეტ ჯეკსონის ჩამოსვლა კონკურსზე, მაშინ, როდესაც ჩიტაშვილს მომღერლის მენეჯმენტთან მოლაპარაკებები დასრულებული არ ჰქონდა. პრობლემების არსებობას თავად დავით ოქიტაშვილიც აღიარებს. მისი თქმით, თავის წამოწყებულ საქმეს არ მიატოვებს, თუმცა არავის უნდა დაავიწყდეს, რომ ამ კონკურსის ინიციატორი ის არ არის.

— რა თქმა უნდა, იყო ხარვეზები, მაგრამ ეს პირველი ფესტივალია. გამარჯვებულზე ვერავინ ვერაფერს იტყვის, რადგან თუ ჟიურის 11-ვე წევრი არაკომპეტენტური ვიყავით, „გრემის" პრეზიდენტმა რატომ გამოარჩია მაინცდამაინც სალომე ქათამაძე, ის მისი წინსვლის გაკონტროლებას აპირებს, — აცხადებს დავით ოქიტაშვილი.

●

კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება მოხდება შემდეგი ნომინაციებით — პირველი პრემია — გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი პრემია 20.000 აშშ დოლარი, მეორე პრემია — გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი პრემია 15.000 აშშ დოლარი, მესამე პრემია — გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი პრემია 10.000 აშშ დოლარი. კონკურსის გამარჯვებულს განსაზღვრავს ჟიური. კონკურსის დანარჩენი მონაწილეები მიიღებენ სხვადასხვა ნომინაციებს და ფასიან ჯილდოებს.

კონკურსს გარდა ღონისძიებაში მონაწილეობენ და ჟიურიში მიწვეულნი არიან საზღვარგარეთის პოპმუსიკის ვარსკვლავები, მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ჯგუფები. 4 დღის განმავლობაში ბათუმში მყოფ საზოგადოებას ფესტივალის ორგანიზატორები 4 გრანდიოზული შოუს ჰპირდებიან. მათ ორგანიზებაში ჩართულები არიან უცხოელი პროფესიონალი სატელევიზიო რეჟისორები, ოპერატორები, ქორეოგრაფები, საკონცერტო კომპანიები, პროდიუსერები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მსოფლიოს ფესტივალების ასოციაცია და მსოფლიოს ფესტივალებისა და არტისტების ასოციაცია.

ღონისძიება გაიმართება ბათუმის ახალ ბულვარში, ფესტივალისთვის ექსკლუზიური დიზაინით შემუშავებულ დახურულ საზაფხულო საკონცერტო დარბაზში, რომელიც გათვლილია 3.000 მაყურებელზე.

ძირითადი საკონკურსო პროგრამის შემდეგ ფესტივალის ორგანიზატორები ბათუმის სტუმრებს ღამის კლუბებში ეპატიჟებიან, სადაც სხვადასხვა მუსიკოსები დაუკრავენ და იმღერებენ.

# გაზეთი „ივერია" ბრუნდება



**2 აგვისტოს, ილიაობის დღესასწაულზე, განახლებული „ივერიას" პრეზენტაცია გაიმართება. ღონის იება სამების ახალგაზრდულ ცენტრში შედგება. განახლებულ გაზეთ „ივერიის" რედაქტორი ნუგზარ ჭიაბერაშვილია.**

ეკა ირემაშვილი

ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული „ივერია" ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა იყო, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან ყოველკვირეულ გაზეთად, მოგვიანებით კი — ჟურნალის სახით. მის დახურვამდე გაზეთმა უკვე ყოველდღიური გამოცემის სახე მიიღო. მისი დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო, ხოლო თანარედაქტორები — სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე. გაზეთის დახურვამდე ილია ჭავჭავაძესთან ერთად ფილიპე გოგიჩაიშვილი მუშაობდა.

გაზეთი „ივერია" მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოდ მიიჩნეოდა. მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებასა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. „ივერია" თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს.

ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა", რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. „ივერიამ" განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. ამ გაზეთთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი. ნიჭიერი კორესპონდენტები და ჟურნალისტები ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, არტემ ახნაზაროვი, გიორგი ლასხიშვილი. გაზეთი მდიდარ ინფორმაციას აძლევდა მკითხველს თანამედროვე საზღვარგარეთის ლიტერატურაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

გაზეთი „ივერია" პირველად აღდგენილ იქნა 1989 წლის 20 თებერვალს ზურაბ ჭავჭავაძის მიერ და გამოდიოდა პერიოდულად ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთის სახით 1997 წლამდე. მის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ კახაბერ კახაძე, რევაზ კვირიკია, გელა ნიკოლაიშვილი, დავით ტაკიძე, ლადი ღვალაძე და თამარ ჩხეიძე.

ამჯერად გაზეთი „ივერია" უკვე მეორედ განახლდება და, როგორც ნუგზარ ჭიაბერაშვილი აცხადებს, გაზეთი ზუსტად იმავე შრიფტით დაიბეჭდება, რომლითაც ილია ჭავჭავაძის დროს იბეჭდებოდა.

— ჩვენ საკმაოდ დიდი შრომის გაწევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ გაზეთი „ივერია" ისევ ისეთი სახით შეგვეთავაზებინა მკითხველისთვის, როგორც ეს ილია ჭავჭავაძის დროს ხდებოდა. გაზეთის პრეზენტაცია საგანგებოდ დავამთხვიეთ 2 აგვისტოს, რადგან ამ დღეს ქართველი ხალხი ილიაობას აღნიშნავს, — განაცხადა ნუგზარ ჭიაბერაშვილმა.

განახლებული „ივერია" ყოველკვირეული გამოცემა იქნება და მისი ფასი 1 ლარი იქნება.


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● დიდი გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი-რეაბილიტოლოგი უმაღლესი შედეგებით მკურნალობს ოსტეოქონდროზს, სმენის დაქვეითებას (ნევრიტს), ოტიტს, პროსტატიტს, ცისტიტს, მასტიტს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, სახსრების ანთებას, კიდურების დაბუჟებას, რადიკულიტს და სხვა დაავადებებს. მიღება ჩაწერით. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 10 ლარი. ტელ: 595 45-50-35; 253-44-39 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, ჰორმონალური დარღვევები, ციკლის პრობლემები, კლიმაქსური ფონის მოხსნა — ალები, შიშები, ნევროზი. მკურნალობა გარანტიით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

## როგორი ხასიათი გაქვთ

ტესტი.



***1. რომელი ფერები უფრო მოგწონთ:***

ა) ღია ცისფერი, ვარდისფერი, სალათისფერი; ბ) წითელი, ყვითელი; გ) მუქი მწვანე, ლურჯი.

***2. ადამიანი, რომელიც მარტო აპირებს მწვერვალის დაპყრობას არის:***

ა) შეშლილი; ბ) ფიზიკურად ძლიერი; გ) პროფესიონალი.

***3. კონცერტზე აპირებთ შესვლას, ბილეთები კი გაყიდულია, თქვენი რეაქცია:***

ა) ადრე უნდა გეფიქრა, შე ბოთე; ბ) უბილეთოდ შესვლას ეცდებით; გ) შინ დაბრუნდებით.

***4. მათხოვარი შენიშნეთ, თქვენი მოქმედება:***

ა) დაეხმარებით; ბ) ცივად ჩაუვლით გვერდში; გ) გააჩნია.

***5. ავიაციაში რომელ პროფესიას ამჯობინებდით:***

ა) ბორტგამცილებლის; ბ) მფრინავის; გ) ავიადისპეტჩერის.

**პასუხები** ***პასუხები თითოეული ვარიანტის რაოდენობის მიხედვით.***

ა) მოკრძალებული ადამიანი ხართ, არ გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა. ხართ უანგარო, თუმცა ზოგს სულელი ჰგონიხართ.

ბ) საკმაოდ მტკიცე ხასიათის და პრინციპული ადამიანი ხართ, ცდილობთ ამის დემონსტრირებას, რაც ხშირად უარყოფით რეაქციას იწვევს.

გ) საკმაოდ შემტევი ხასიათი გაქვთ, იმავდროულად დიპლომატიც ხართ. შეგიძლიათ საკუთარი თავის გაკონტროლება, რაც დასახული მიზნის გაკონტროლების საწინდარია.

**გ.თ.**

## იუმორი



— სიყვარულის ღმერთი ამური ისარს ადამიანს ყოველთვის გულში ვერ ახვედრებს. ზოგჯერ აცდენს და სამიზნეს ისარი უკანალში ხვდება...

***

ცოლ-ქმარი საწოლში ნებივრობს. ვიღაცამ კარზე ზარი დარეკა და ორივე კარადაში დაიმალა...

***

— გვჭირდება ტელეპატი, სად დარეკოს თავად იცის...

***

— ზედიზედ მეხუთე დღეა სამსახურში იგვიანებთ. რა დასკვნა უნდა გამოვიტანო?

— დღეს პარასკევია...

***

— გახსოვდეს, შენზე ლამაზი ამქვეყნად არავინაა. სასწორი გატყუებს, ადამიანებს შენი შურთ, სარკე კი ნებისმიერი მრუდეა...

***

ადვოკატი ხანდაზმულ კლიენტს ეკითხება:

— ანდერძს ასე ხშირად რატომ ცვლით?

— სმენის აპარატი ვიყიდე, ოღონდ არავისთვის მითქვამს... **გ.თ.**

# ბოლივუდი შემოდგომაზე დაგვიბრუნდება

ეკა ირემაშვილი

ბოლივუდის წარმომადგენლები ჩვენს ქვეყანაში უკვე შემოდგომაზე დაბრუნდებიან და გადასაღებ მოედნებსაც სხვადასხვა ტერიტორიებზე გაშლიან. საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ ბოლივუდის პროდიუსერებთან ერთად ბრიფინგი გამართა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ესწრებოდნენ.

გადაწყდა, რომ შემოდგომაზე ბოლივუდი საქართველოში ორი ფილმის გადაღებას იწყებს. პირველი ფილმი ცნობილი ინდური ბლოკბასტერის, განგსტერული ტრილერის „ბილა 1“-ის გაგრძელება იქნება, რომელშიც მთავარ როლებს ორი ქართველი მსახიობი, თემიკო ჭიჭინაძე და ზურა შარია შეასრულებენ. ფილმის გადაღებები ორ კვირას გაგრძელდება. გადაღებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 65 დღეს გაგრძელდება და მსახიობთა 50 პროცენტი ქართველი იქნება. ქართველი მსახიობების გარდა, ფილმების გადაღების პროცესში ჩართულები იქნებიან ქართველი კინემატოგრაფისტები, რომლებიც ინდიელ კინოხელოვანებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

ოქტომბერში დაიწყება ცნობილი ინდური ფილმის „ბილა“ მეორე ნაწილის გადაღებაზე მუშაობა. ინდური კინო-ინდუსტრიის წარმომადგენლები საქართველოში სამუშაო ვიზიტით უკვე მეორედ ჩამოვიდნენ. საქართველოს საინვესტიციო სააგენტო მათთან უკვე 6 თვეა აქტიურად თანამშრომლობს. ინდოელი პროდიუსერების მთავარი მიზანია, დაამყარონ ურთიერთობები კინოინდუსტრიის სფეროში მოღვაწე ქართულ კომპანიებთან. ინდოელმა კინოპროდიუსერებმა უკვე გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი წამყვან მედია სახლთან „მეტრო სტუდიო“, რომელიც ხელს შეუწყობს „ბოლივუდელი“ პროდიუსერების თანამშრომლობას სხვადასხვა კომპანიებთან. მათ შორის „ქართულ ფილმთან“.



ამ ფაქტთან დაკავშირებით, მედიისთვის სპეციალური ბრიფინგი გაიმართა, რომელსაც, პროდიუსერებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერ ქობალია და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა დაესწრნენ. ბოლივუდის 4-კაციანმა დელეგაციამ კიდევ ერთხელ კარგად დაათვალიერა საქართველოს ტერიტორიები და ფილმების გადაღებებისთვის საუკეთესოები შეარჩია.

— ოქტომბერში დაიწყება ცნობილი ინდური ფილმის „ბილა“ მეორე ნაწილის გადაღებაზე მუშაობა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქართველი მსახიობებიც იქნებიან დაკავებული ფილმში, ასევე ჩართული იქნებიან ქართველი კინომატოგრაფისტებიც. რომლებიც გაუზიარებენ გამოცდილებას ფილმის გადაღების დროს. ფილმი ნაჩვენები იქნება ინდოეთის გარდა აზიის სხვადასხვა ქვეყნების კინოეკრანებზე. რაც თავისთავად საქართველოში ტურისტების ნაკადის გაზრდას გამოიწვევს როგორც ინდოეთიდან, ასევე აზიის სხვა ქვეყნებიდან — აცხადებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია.

ბილივუდის წარმომადგენელთა ჩამოვლის ძირითადი მიზანი კინოინდუსტრიის სფეროში მოღვაწე ქართულ კომპანიებთან ურთიერთობის დამყარება და კინოგადაღებისთვის საინტერესო ადგილების შერჩევა იყო. 2011 წლის შემოდგომაზე ცნობილი ინდური ბლოკბასტერის გადაღება იგეგმება. დელეგაციის წევრები იყვნენ ინდოეთში მოღვაწე ცნობილი პროდიუსერები, რომლებსაც გადაღებული აქვთ 20 ფილმი, სატელევიზიო სერიალები და არაერთი სარეკლამო რგოლი. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასთან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუასთან, ასევე საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და კინოცენტრში.

— ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ მსოფლიოში უდიდესი კინო-ინდუსტრია „ბოლივუდი“ საქართველოთი დაინტერესდეს. პირველ რიგში ის, რომ აქ არ არის კორუფცია. ინდოელი პროდიუსერები ხაზგასმით აცხადებენ, რომ მოხიბლულნი არიან საქართველოში საზოგადოებრივი და ეკონომიკური წესრიგით. ისინი ამბობენ, რომ აქ უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. ისინი სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირად არიან დაცულები, — აღნიშნავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა.

თბილისში მყოფმა ბოლივუდელმა პროდიუსერებმა საქართველოში გადასაღები ფილმისთვის მსახიობების კასტინგზე მხოლოდ პროფესიონალი მსახიობები მიიწვიეს. მათ საკუთარი ვიზიტიც შეაჯამეს და განაცხადეს, რომ მზად არიან ინდური ბლოკბასტერი და კომედია სწორედ საქართველოში გადაიღონ. კომედიური ჟანრის ფილმის სახელწოდება ჯერჯერობით უცნობია.

ბოლივუდელი რეჟისორები და პროდიუსერები თავისი ერთკვირიანი ვიზიტის დასასრულს ჟურნალისტებს სამომავლო გეგმებზეც ესაუბრნენ და აღნიშნეს, რომ საქართველოში მათმა ერთკვირიანმა ვიზიტმა საკმაოდ დადებითად ჩაიარა.

# იტალიელი გლაციოლოგები საქართველოს მყინვარებს შეისწავლიან

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც იტალიელმა არქიტექტორ-ფოტოგრაფმა ქართველი ფოტოგრაფებისთვის ლექცია წაიკითხა, საქართველოში იტალიელი მეცნიერები ჩამოვიდნენ. საქართველოში, კერძოდ კი სვანეთში, შედგება საერთაშორისო ექსპედიცია „მყინვარების ნაკვალევზე — კავკასიონი 2011“, რომელსაც იტალიელი მკვლევარები ხელმძღვანელობენ. მისი მიზანია მყინვარების გაზომვა და მათი ფოტოგრაფიული ასახვა.

იტალიის საელჩო საქართველოში ავრცელებს საგანგებო განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ პროექტი, რომელსაც იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით ახორციელებს მოგებაზე არაორიენტირებული იტალიური ორგანიზაცია „მაკრომიკრო“, მიმართულია დედამიწის ყველაზე მნიშვნელოვან მყინვარებზე კლიმატური ცვლილებების ეფექტების შესწავლისკენ.

მკვლევარებს თან ახლავს გადამღები ჯგუფი, რომელიც დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს. ჯგუფის წევრები არიან ფაბიანო ვენტურა, გლაციოლოგიის სპეციალისტები კენეტ ჰიუიტი და რიკარდო სკოტი, რეჟისორი მარკო პრეტი და ოპერატორი ლუკა ვენკიარუტი. მათი მუშაობის კოორდინირებას ახორციელებს სამეცნიერო კომიტეტი, რომელიც შედგება ისეთი საერთაშორისო სახელის მქონე მეცნიერებისგან, როგორებიცაა, მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა ფაკულტეტის ორდინალური პროფესორი კლაუდიო სმირალია, ვატერლოო-ონტარიოს (კანადა) უილფრიდ ლორიეს უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის ასოცირებული მეცნიერი და გეოგრაფიისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დამსახურებული პროფესორი კენეტ ჰიუიტი, მიუნხენის მეცნიერებათა აკადემიის და გერმანიის გლაციოლოგიის კომისიის წევრი ქრისტოფ მეიერი, რომის გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის დოქტორი სტეფანო ურბინი.

გლაციოლოგები მყინვარების გაზომვისა და ფოტოგრაფირების მეშვეობით შეაგროვებენ მონაცემებს, რომლებიც მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მკვლევართა მიერ გადაღებულ ფოტოსურათებთან შედარების გზით, მიმდინარე კლიმატური ცვლილებების შესწავლისთვის მნიშვნელოვანი მასალა იქნება.

ორგანიზაცია „მაკრომიკრო“-ს ექსპერტების თვალსაზრისით, საქართველოს კავკასიონზე განხორციელებული ექსპედიცია თავს მოუყრის გასული ორი საუკუნის დიდი პიონერების ექსპედიციების შედეგებს. საკმარისია გავიხსენოთ ვიტორიო სელას, მარიო პიაჩენცას, ვიტორიო რონკეტის და ანდრეა პოლიცერის, აგრეთვე ჰერმან ვულეის, ალბერტ ფრედერიკ მამერის, დუგლას უილიამ ფრეშფილდის, მორ დეჩის და ვილემ ჰეკელის მიერ გადაღებული ფოტოსურათები.

ექსპედიცია, რომელიც გაგრძელდება 2011 წლის 1 სექტემბრამდე, წარმოადგენს სამ კონტინენტზე ხუთი ექსპედიციის პროგრამის მეორე ეტაპს. მასში გაერთიანებულია ყარაყუმი, კავკასიონი (დღევანდელი ექსპედიცია), რომელსაც მოჰყვება ექსპედიციები ალიასკაზე, ანდებსა და ალპებში. ექსპედიციის დასასრულს გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ცენტრალურ ფილიალში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება ორგანიზაცია „მაკრომიკროს“-ს მიერ საქართველოში მიღწეული სამეცნიერო შედეგები.

იტალიელი მეცნიერების მიერ დაგეგმილი ექსპედიცია უახლოეს დღეებში დაიწყება და პირველ სექტემბერს დასრულდება.

# საიათნოვას ლექსები ქართულად ითარგმნა

ეკა ირემაშვილი



ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოში მოღვაწე პოეტის, აშუღისა და მომღერლის საიათნოვას ლექსების თარგმანის პრეზენტაცია შედგა. სომხური ლექსები ქართულად ცნობილმა პოეტმა და მწერალმა გივი შაჰნაზარმა თარგმნა.

საიათნოვა, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია არუთიუნ საიათიანი, წლების განმავლობაში საქართველოში მოღვაწეობდა. ის თბილისში დაიბადა. პოეტი განთქმული იყო საკუთარი ლექსებით, სიმღერით. უკრავდა კამანჩეზე, ჩონგურზე. ის ერეკლე II-ის კარის მომღერალი და მუსიკოსი იყო და დიპლომატის ფუნქციასაც ასრულებდა. გადმოცემის თანახმად, მისი შუამავლობით შესაძლებელი გახდა ალიანსი საქართველოს, სომხეთსა და შირვანს შორის სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ. თუმცა მეფის ქალიშვილის სიყვარულის გამო კარის სამსახური დაკარგა და დანარჩენი ცხოვრება გზაში ხეტიალსა და სიმღერაში გალია. იგი ბერად შედგა ახპატში, თუმცა დროდადრო თბილისს უბრუნდებოდა. საიათნოვა ახპატის მონასტერში ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს დაილუპა. იგი თბილისის სურფგევორქის ეკლესიაში დაკრძალეს.

საიათნოვას ლექსების კრებულში მე-18 საუკუნის გენიალური პოეტის 40-მდე ლექსია შესული, რომელთა უმეტესობა მკითხველისთვის აქამდე უცნობი იყო. კრებული გამომცემლობა „ჰაიარტუნში“ დაიბეჭდა.

— საიათნოვას ავტორობას შეიძლება მიეწეროს დღემდე მოღწეული დაახლოებით 200 სიმღერა, თუმცა, სავარაუდოდ, მას ათასობით სიმღერა უნდა ჰქონოდა შექმნილი. მის სიმღერათა უმრავლესობა ქართულ, სომხურ და სპარსულ ენებზეა. მათი დიდი ნაწილი დღესაც პოპულარულია. საიათნოვას პოეზია ორიგინალურია სტილითა და რიტმიკით. მის პოეზიაში თავი იჩინა აღმოსავლურმა სალექსო ფორმებმა და ლექსიკამ, გარკვეული გავლენა მოახდინა თანადროულსა და მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაზე. საიათნოვას ქართული ლექსები სხვადასხვა დროს კრებულის სახით გამოიცა. მისი სომხური ლექსები თარგმნილია როგორც აზერბაიჯანულად, ასევე ქართულად. მიხარია, რომ ახალი კრებული ჩემი ნათარგმნი ლექსებით აიკინძა, — განაცხადა პოეტმა გივი შაჰნაზარმა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 2. ბაქტერიების მშთანთქმელი ვირუსი; 3. გემთმშენებელი საწარმო; 4. ქართველი კინორეჟისორი; 6. სტუმრების მისაღებად დანიშნული კვირის ესა თუ ის დღე; 9. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 13. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 14. ნოდარ დუმბაძის რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 15. სამეცნიერო ქალაქი იაპონიაში; 17. ისტორიული ციხე-სიმაგრე ციხისძირში; 18. ფრანგი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ფუძემდებელი; 20. წმინდა ქალაქი ირანში.

**თარაზულად:** 1. ჟურნალ „ელეგიონის“ დამფუძნებელი; 5. კათოლიკური ჯვარი; 7. ერთ-ერთი პირველი ქართული როკ-ჯგუფი; 8. ნორვეგიელი მოგზაური ისტორიოგრაფის, ზღვაოსნის ტურ-ჰეიერდალის ერთ-ერთი საექსპედიციო პაპირუსის ნავი; 10. მუზეუმი მილანში; 11. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 12. თხელი ფურცლოვანი რკინა; 16. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 17. უმსხვილესი კორეული მეტალურგიული კონცერნი; 19. რაიონული ცენტრი აჭარაში; 21. საქარგავად გამოყენებული ფერადი ძაფები; 22. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 23. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 24. მარმარილოს საბადო კახეთში. *შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაყვალი; 2. აბიო; 3. კოლეჯ; 4. დრაივი; 6. სხიპჰოლი; 9. ლესოტო; 13. სარქალი; 14. თალლითი; 15. კამორა; 17. კროლი; 18. გრები; 20. სონი.

**თარაზულად:** 1. მნათობი; 5. ვუდსი; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. ლობიო; 11. იფქლი; 12. მასინე; 16. ბაცილა; 17. კონგო; 19. რაბი; 21. თოხარი; 22. ალპები; 23. კაჭაჭი; 24. გინესი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნალში; 3. სიბარიტი; 4. ჰენესი; 7. ლიონი; 9. კენია; 12. ბრიუსტოუნი; 14. პოპული; 15. მეჩოვეჯ; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. ცუცხვათი; 6. ვაიკული; 8. კომიცორი; 10. მონტიპიო; 11. ბრუნეი; 13. ბეიჯერი; 16. ბარაკონი; 18. ფუქსი; 19. ძენნა; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. ტოკანა.

შედით საიტზე atb.ge

# ნუკრი რევიშვილი: „რუბინში“ ჩემი მეგობრები არიან



საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი გასული წლის იანვარში ყაზანის „რუბინიდან“ გადავიდა მახაჩყალის „ანჟიში“ და მას შემდეგ ყოფილი გუნდი ყველა მატჩში გაამწარა — სამივე მატჩი მშრალად ჩაატარა. აქედან „ანჟიმ“ 2 მოიგო და ერთი ფრედ დასრულდა. ცხადია, მისი გაშვებით „რუბინ-მა“ ვერ გამოიცნო — რევიშვილი, რომელსაც ყაზანურ კლუბში თამაში თითქმის არ უწევ-და, დაღესტნურ გუნდში მუდმივად ძირითად-შია და მომავალსაც ოპტიმიზმით უყურებს.

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურ-ში ანჟიმ სტუმრად 3:0 მოუგო რუბინს და ჩვენებურსაც ინტერვიუ ამ მატჩის შემდეგ ჩამოართვეს.

***— „რუბინთან“ მატჩები თქვენთვის განსაკუთრებულია?***

— ძლიერ მოწინააღმდეგესთან თამაში ყოველთვის საინტერესოა. აქედან გამომდინა-რე, ამ მატჩისთვის განწყობაც ჩვეულებრივ მოხდა. ჩვენთვის ყველა თამაში მნიშვნელოვანია.

***— თუ თქვენი თამაშით ვიმსჯელებთ, რუბინი პირადად თქვენთვის განსაკუთრებულად გამაღიზი-ანებელია.***

— რას ამბობთ! რა გამაღიზიანებელი? „რუბინი“ — ეს ჩემი მეგობარებია!

***— რას ესაუბრებოდით მატჩის წინ ვიტალი კაფანოვს, რომელიც ყაზანურ კლუბში მეკარეებთან მუშაობს?***

— ცხოვრებაზე, ფეხბურთზე. ჩვენ ერთად ვმუშაობ-დით და ყოველთვის მოვძებნით სასაუბრო თემას. ვიტალი ძალიან პოზიტიური ადამიანია და თავისი საქმის კარგი მცოდნე. მას ყოველთვის აქვს თავში ახალი იდეები და კოლეგებისთვის მისი გაზიარება არ ენანება. ჩვენ თანამ-შრომლობას ყოველთვის მადლობითა და სითბოთი ვიხსე-ნებ.

***— რას ეუბნებოდით ვიტალი კალეშინს, რომე-ლიც პირველ ტაიმში ძელს შეეჯახა და დიდხანს ვერ მოვიდა გონზე?***

— მინდოდა დავხმარებოდი. კარგია, რომ ყაზანში ძელები შეცვალეს და ახლა ლითონის კი არა, განსაკუთ-რებული ალუმინით არის დამზადებული. სხვა შემთხვევაში ვიტალის გონზე მოსვლა გაუჭირდებოდა — ძალიან ძლიერი დაჯახება იყო. თავიდან მეც შემეშინდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა.

***— ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ ამ ეპიზოდში მსაჯს შეეძლო თქვენს კარში პენალტი დაენიშნა — თუ ვიდეოს მიხედვით ვიმსჯელებთ, გაჯიევმა ხელი უბიძგა კალეშინს.***

— მოედანზე გადაწყვეტილებას მხოლოდ მსაჯი იღებს. რადგან არ დანიშნა, გამოდის, ამის მიზეზი არ ჰ ქონია. მთლიანობაში მატჩში ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მის შემდეგ ასეთი საუბრის მცირე მიზეზიც კი არავისთვის მიგვეცა. ასე არ არის?

***— ასეა. „ანჟიმ“ ამ სეზონში „რუბინს“ 6 ქულა აართვა, რაც ქებას იმსახურებს. თქვენ ამოხსენით საიდუმლო, როგორ უნდა ითამაშოთ ყაზანელთა წინააღმდეგ?***

— არანაირი საიდუმლო არ არის. მხოლოდ მუშაობა და კონცენტრაციაა საჭირო. ალბათ, ცოტა გამართლებაც.

***— „რუბინი“ გაშვებული გოლის შემდეგ აშკა-რად გადაღლილი ჩანდა, რიგ შემთხვევებში კი სრულიად უმწეო.***

— ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელებმა ძალიან ბევრი იშრომეს ჩემპიონთა ლიგის მატჩზე კიევის „დინამოსთან“ და ბევრი ენერგია დახარჯეს. ამას თავადაც გრძნობდნენ და ამიტომაც სურდათ ჩვენთან პირველი გოლის გატანა მოესწროთ. პირველი ტაიმი მართლაც კარგად ჩაატარეს — დრო და დრო გვიჭირდა კიდეც. თუმცა, მოხდა, რომ პირველებმა ჩვენ გავიტანეთ, ხოლო გასათანაბრებლად მათ ძალა და ემოცია სჭირდებოდათ, რაც უკვე აღარ ჰქონდათ. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ პრობლემებს მალე გადაჭრიან და კიევის დინამოს ყაზანშიც დაამარცხებენ. „რუბინის“ თამაშებს კვლავინდებურად თვალს ვადევნებ და იქაურ ჩემ მეგობრებს ვგულშემატკივრობ.

# უკმაყოფილო ბლანი და ჰოლანდიურ-თურქული დერბი

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის კენჭისყრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტთა ყურადღება განსა-კუთრებით ლორან ბლანმა მიიპყრო, რადგან სწორედ მის გუნდს შეხვდა ყველაზე რთული მეტოქე, რომელზეც საერთოდ შეიძლებოდა ვინმეს „ეოცნება“. თუმცა, მისი პრეტენზიები ფრანგებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან ბოლო პერიოდში რეიტინგში აშკარა ვარდნა განიცადეს და მარტო სახელებით მსჯელობა ვერაფერი შეღავათი იქნება.

— ვერ გეტყვით, რატომ აღმოჩნდა საფრანგეთის ნაკრები მეორე კალათაში. ამას მით უფრო ვერ ვიგებ, როცა პირველში საბერძნეთი, ნორვეგია და ხორვატია იყვნენ. მეორე კალათის წყალობით ჩვენთან რომელიმე ტოპნაკრები გარანტირებულად მოხვდებოდა და საბოლო-ოდ ისე მოხდა, რომ საუკეთესოთაგან ყველაზე ძლიერი გვერგო მეტოქედ. ბუნებრივია, ეს ყოველივე არალოგიკუ-რად მიმაჩნია, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე გვიანია. ერთადერთი რამის თქმა შემიძლია - ესპანეთთან სანახა-ობრივი შეხვედრები გველის. როცა ასეთი დონის მატჩებს ხშირად მართავ, შენი დონე უფრო და უფრო მაღლდება, — განაცხადა ბლანმა.

კენჭისყრის შედეგებით უკმაყოფილოა საფრანგე-თის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოელ ლე გრეიტიც.

— ძალიან რთული ჯგუფია, თუმცა მოვიდა დრო, რომ მხოლოდ წინ ვიაროთ და წარსულის წარუმატებლო-ბები დავივიწყოთ. უპირველესი ამოცანა იქნება, რომ ჯგუფი პირველ ადგილზე დავასრულოთ, თუმცა ესპანეთ-თან ჭიდილი იოლი არ იქნება. ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად ჩვენ წელიწადნახევარი გვაქვს, — აცხა-დებს ფრანგული ფეხბურთის შეფი.ფრანგთა კომენტარები ჩვენთვის უფრო იმით არის საინტერესო, რომ ისინი საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელები არიან. თუმცა, როგორც ხედავთ, მათ ჩვენი გუნდი სრულიად არ აღელვებთ და უფრო ესპანელების მათთან ერთად მოხვედ-რაზე არიან შეფიქრიანებულები.არცთუ ისე იოლი შესარ-ჩევი ჯგუფი შეხვდა ჰოლანდიას. ბერტ ვან მარვიიკი სიტუაციას რეალურად აფასებს - მიაჩნია, რომ მის გუნდს იოლი გზა არ ელის.

— ჩვენი მთავარი კონკურენტები იქნებიან თურქე-თის, უნგრეთისა და რუმინეთის გუნდები. კარგად მახსოვს, რა რთული იყო თურქებთან ბოლო დაპირისპირება. იმავეს თქმა შემიძლია რუმინეთზეც, უნგრეთს რაც შეეხება, მათ მშვენივრად ვიცნობთ, რადგან ევრო 2012-ის შესარჩევში ჩვენ ისინი ორჯერვე დავამარცხეთ. ნებისმიერ შემთხვევაში ჯგუფს შემიძლია ამოუცნობი ვუწოდო, — განაცხადა ვან მარვიიკმა.

თურქეთისა და ჰოლანდიის მომავალ ჯახს თავისე-ბურ ინტრიგას მატებს გუუს ჰიდინკის ფაქტორი, რომე-ლიც ამჟამად თურქებს წვრთნის.

— ძალიან საინტერესო ჯგუფია. ჩვენ მოგვიწევს ვეთამაშოთ ჰოლანდიის იმ გუნდს, რომელიც სოლიდურ ძალას წარმოადგენს დღევანდელ საფეხბურთო სამყაროში. საკმაოდ მოუმატა ბოლო წლებში რუმინეთის ნაკრებმაც და იოლი თამაშები არც მათთან გველის. რაც უნდა მოხდეს, თურქეთის ნაკრები ყველაფერს გააკეთებს იმის-თვის, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს. ვვარაუდობ, რომ ჩვენი მთავარი მეტოქე ამ გზაზე სწორედ ჰოლანდია და რუმინეთი იქნებიან, — აცხადებს ჰოლანდიელი სპეციალისტი.პორტუგალიელთა მწვრთნელ პაულუ ბენტუს თქმით, მთავარ კონკურენტად ის რუსეთს მიიჩნევს, თუმცა ანგარიშს უწევს სხვა გუნდებსაც.

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში რუსეთს გამოვ-ყოფ, შემდეგ — ისრაელს, რომელიც ამჟამად ევრო 2012-ზე გასასვლელად იბრძვის. არც დანარჩენი გუნდების ჩამოწერა შეიძლება. თუმცა გარწმუნებთ, რომ თუ ყველა მატჩს სათანადო განწყობით შევხვდებით, ჩვენ აუცილებ-ლად მოვიპოვებთ ბრაზილიაში გამგზავრების უფლებას, — თამამად აცხადებს ბენტუ.

# რუსებს კაუნა დააკლდათ და ხრიაპა დაემატათ

**თვეზე ნაკლები დარჩა ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე კალათბურთში, რომელიც ლიტვაში გაიმართება და მასში მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს. ჩვენი მეტოქეების შესახებ პერიოდულად გწერთ, ამჯერად გვინდა, რუსეთის ნაკრებზე შევჩერდეთ, რომელსაც დანაკლისიც აქვს და შევსებაც.**

დევიდ ბლატის გუნდს დააკ-ლდება ალექსანდრ კაუნა, რომელიც ნბა-ს გუნდ „კლივლენდში“ თამაშობს. კაუნა ბოლო დღეებში იქვე ვარჯი-შობდა ინდივიდუალურად, მაგრამ კუნ-თი დაეჭიმა და სასწრაფოდ ოპერაცი-ის გაკეთება დასჭირდა. საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის 26 წლისა და 211 სანტიმეტრი სიმაღლის კა-ლათბურთელს ერთი თვე დასჭირდე-ბა.

ეს დანაკლისი: შევსება კი ის არის, რომ გუნდს დაუბრუნდა ვეტე-რანი ვიქტორ ხრიაპა, რომელმაც მოასწრო გამოჯანმრთელება და უკვე გაფართოებულ შემადგენლობასთან ერ-თად ვარჯიშობს.

გუნდი უკვე დაბრუნდა სლოვე-ნიური შეკრებიდან და წვრთნას მოს-კოვში გააგრძელებს. 5-7 აგვისტოს კი კვიპროსზე საერთაშორისო ტურნირ-ში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მათი მეტოქეები იტალიის, საბერძნე-თისა და ბულგარეთის ნაკრებები იქნებიან. გეტყვით იმასაც, რომ ბულ-გარეთის ნაკრებიც ჩვენი და რუსების მეტოქეა ევროპის ჩემპიონატის ჯგუ-ფურ ეტაპზე.

სადღეისოდ, რუსებს გაფარ-თოებულ შემადგენლობაში 17 კალათ-ბურთელი ჰყავთ, რომელთაგან 12 უნდა შეირჩეს:

**უკანა ხაზი:** ანტონ პონკრაშო-ვი, ალექსეი შვედი, ევგენი ვორონოვი (ყველა ცსკა), ვიტალი ფრიძონი, იგორ ვიალცევი, დმიტრი ხვოსტოვი (ყველა ხიმკი), სერგეი ბიკოვი, მაქსიმ გრიგო-რიევი (ორივე ლოკომოტივი), ალექ-სეი ზაზულინი (სპარტაკი);

**ფორვარდები:** ანდრეი კირი-ლენკო (იუტა, ამერიკა), ვიქტორ ხრი-აპა, ანდრეი ვორონცევიჩი (ორივე ცსკა), სერგეი მონია (ხიმკი), ნიკიტა შაბალკინი (ლოკომოტივი), სამსონ ანტონოვი (ნიჟნი ნოვგოროდი);

**ცენტრები:** ტიმოფეი მოზგო-ვი, ალექსეი ჟუკანენკო (ორივე ხიმ-კი).

ყველაზე თვალშისაცემი რუს-თან გუნდში ანდრეი კირილენკოა, ასევე ძლიერი რგოლი უნდა ყოფილი-ყო მოზგოვი-კაუნას დუეტიც. სწორედ კაუნას წასვლა ყველაზე მეტად ადარ-დებთ რუსებს — ამით მათი გუნდი სერიოზულად დასუსტდა. ლიტვაში დიდი დატვირთვა გადავა მოზგოვზე, მაგრამ ექსპერტებს ის აშინებთ, რომ ძალიან მალე შეუძლია ბლომად ჯარი-მების მიღება და გუნდის დალალატე-ბა. რაც შეეხება მის შემცვლელ ჟუკა-ნენკოს, მას თავის გამოჩენის შანსი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა და ახლაც ადვილი შესაძლებელი იყო, ნაკრებს მიღმა დარჩენილიყო, თუმცა, კაუნას ტრავმამ ლიტვის გზა ასი პროცენტით გაუხსნა.

# ფოდას ცუდი სტარტი არ აშინებს

**ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიულ „შტურმთან“ საპასუხო შეხვედრისთვის „ზესტაფონი“ ჩარტერული რეისით თბილისი-გრაცი გუშინ გაემგზავრა. პირველი მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართა, ფრედ, 1:1 დასრულდა და იმერულ კლუბს მ იმე ბრ ოლა ელის.**

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფო-ნის“ პრესსამსახურის ცნობით, იმე-რელთა მთავარმა მწვრთნელმა გიორ-გი გეგუჩაძემ ავსტრიაში 20 ფეხბურ-თელი იახლა:

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე;

**მცველები:** გიორგი ონიანი, ზა-ალ ელიავა, მამუკა კობახიძე, თეიმუ-რაზ ღონღაძე, კახაბერ ალადაშვილი, მალხაზ გაგოშიძე, ალექსი ბენაშვილი;

**ნახევარმცველები:** მურთაზ და-უშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირ-აკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფცი-აური, მიხეილ სარდალიშვილი;

**თავდამსხმელები:** ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, საბა ლო-მია, რატი წინამძღვრიშვილი.

ზესტაფონელები გრაცთან ახ-ლოს მდებარე სასტუმრო „პარადიზ-ში“ დაბინავდნენ, ხოლო 22:30 საათზე ვარჯიშიც გამართეს.

არადა, თუ თბილისურ მატჩს გავიხსენებთ და „შტურმის“ მიერ ავსტრიის ჩემპიონატის სტარტსაც გა-დავხედავთ, „ზესტაფონს“ მეტოქეს-თან ბრძოლა აშკარად ძალუძს. ავ-სტრიის ჩემპიონი არცთუ დამაჯერებ-ლად გამოიყურება და სამ მატჩი ორი ფრედ დაასრულა, ხოლო ერთხელ მარცხი განიცადა და ბოლო ადგილზე იმყოფება. თუმცა, გუნდის მთავარი მწვრთნელი ფრანკო ფოდა სიმშვიდეს ინარჩუნებს და დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ზესტაფო-ნის ბარიერს გადალახავს.

— არ მაღელვებს, სხვები რას ამბობენ. პანიკაში არ ვვარდებით. ყველაფერი ისე ცუდად არაა, რო-გორც ამას სხვები ხედავენ. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმარისი პო-ტენციალი გვაქვს. პოზიტიურ განწყო-ბაზე ვარ, — აცხადებს ფოდა.

ბოლო ტურის მატჩი „კაპფენ-ბერგთან“, გრაცელთათვის უიღბლო იმითაც აღმოჩნდა, რომ ნახევარმცველმა მატიას კოხმა ლავიწის ძვალი მოიტეხა და გუნდს ექვსი კვირის განმავლობა-ში ვერ დაეხმარება.

ხსენებული შეხვედრის შემდეგ, თბილისურ მატჩში „ზესტაფონის“ კარ-ში გოლის გამტანმა **პატრიკ ვოლ-ფმა** კი განაცხადა:

— მარტივ შეცდომებს ვუშვებთ დაცვასა და ნახევარდაცვაში. თუ ასე თამაშს გავაგრძელებთ, ბევრ ქულას ნამდვილად ვერ მოვიპოვებთ. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. თუ ჩემპიონთა ლიგაში შემდეგ ეტაპზე გასვლა გვინ-და, ოთხშაბათს ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. ტრავმირებული ფეხბურ-თელების არყოფნის გამო გუნდი და-სუსტებული იყო, მაგრამ მოთამაშეე-ბი, რომლებიც მოედანზე გამოვლენ, 100 პროცენტით უნდა დაიხარჯონ. ისე არ უნდა მოხდეს, როგორც „კაპ-ფენბერგთან“ თამაშში.

გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩა გრაცელთა ვეტერანი **მარიო ჰაასიც:**

— თავი ხელში უნდა ავიყვა-ნოთ. ძალიან უყურადღებოდ ვთამა-შობდით და შანსები ვერ გამოვიყენეთ. ზოგიერთ მომენტში სკოლის გუნდს ვგავდით.

სხვათა შორის, „შტურმის“ ფა-ნები „ზესტაფონთან“ მატჩზე დასას-წრები ბილეთების მაღალ ფასს აპრო-ტესტებენ — კარის უკან 22 ევრო, ხოლო დანარჩენ ადგილებზე 30 ევრო. შედეგად, ამ დროისთვის მხოლოდ 7000 ბილეთია გაყიდული, ხოლო სტადიონი 15.400 მაყურებელს იტევს.

შეგახსენებთ, რომ „შტურმი□-□ზესტაფონის“□ განმეორებითი მატჩი დღეს გაიმართება და თბილისის დრო-ით 22:30 საათზე დაიწყება. მთავარი მსაჯი ფრანგი ანტონი გოტიე იქნება.

ჯერჯერობით უცნობია, იხი-ლავს თუ არა ქართველი გულშემატ-კივარი ამ მატჩის რეპორტაჟს პირდა-პირი ეთერით.

## შედეგები

### ფეხბურთი

**გერმანია. თასი**

ბრაუნშვაიგი-ბაიერნი ........................ 0:3

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-ბულონი ................................ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრ.სოვეტოვი-ამკარი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 18 | 12 | 5 | 1 | 36:12 | 41 |
| 2.ზენიტი | 18 | 10 | 6 | 2 | 28:12 | 36 |
| 3.დინამო | 18 | 9 | 5 | 3 | 29:18 | 35 |
| 4.რუბინი | 18 | 8 | 6 | 4 | 24:16 | 30 |
| 5.ანჟი | 18 | 8 | 6 | 4 | 20:14 | 30 |
| 6.სპარტაკი | 18 | 8 | 4 | 6 | 18:20 | 28 |
| 7.ლოკომოტივი | 18 | 8 | 4 | 6 | 31:22 | 28 |
| 8.ყუბანი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:18 | 25 |
| 9.კრასნოდარი | 18 | 5 | 8 | 5 | 21:24 | 23 |
| 10.ტერეკი | 18 | 6 | 4 | 8 | 14:18 | 22 |
| 12.ამკარი | 18 | 5 | 5 | 8 | 13:24 | 20 |
| 12.ტომი | 18 | 4 | 7 | 7 | 18:28 | 19 |
| 13.ვოლგა | 18 | 5 | 1 | 12 | 17:23 | 16 |
| 14.როსტოვი | 18 | 3 | 4 | 11 | 19:33 | 13 |
| 15.ნალჩიკი | 18 | 2 | 7 | 9 | 15:25 | 13 |
| 16.კრ.სოვეტოვი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:27 | 12 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იაბლონეცი-ბოლესლავი .................. 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოდბესკიდჟე-იაგელონია ................ 2:2

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-მიდტიულანდი ................ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-ჰალმშტადი ............................ 2:1

კალმარი-მილაბი .............................. 0:6

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-როვანიემი ........................... 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

# ალექსანდრე ამისულაშვილი: „მოედანზე ბოლომდე უნდა დაიხარჯო“

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ალექსანდრე ამისულაშვილი რუსული მედიის ყურადღების ცენტრში მუდმივად არის. „კრასნოდარის“ კაპიტანს რუსული მედია ამჯერად ცსკასთან (1:1 მატჩის შემდეგ გაესაუბრა.



ალექსანდრე ამისულაშვილი:

— უკვე მე-5 წუთზე არასასურველი გოლი გავუშვით, რომელმაც ჩვენი გეგმები არია. თუმცა, ეს ფეხბურთია და ვერაფერს ვიზამთ. ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ჩამორჩენის შემდეგაც ძალიან კარგად ვითამაშეთ.

*— ჰონდას გოლი ცოტა საეჭვოდ გამოიყურებოდა. თქვენი აზრით, არმიელთა შემტევი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა?*

— ვერ გეტყვით. ჩემი აზრით, ჩვეულებრივი გოლი იყო, საეჭვო არაფერი მომჩვენებია.

*— სწრაფად გაშვებულმა გოლმა ძალიან იმოქმედა თქვენი გუნდის გეგმებზე?*

— სწრაფი გოლი ყოველთვის ცუდად მოქმედებს. მალევე ხდება გადაწყობა, სათამაშო მონახაზის შეცვლა. კარგია, რომ ამ საქმეს ადვილად მოვერიეთ და კარგად ვითამაშეთ.

*— ტრიბუნებიდან ისე ჩანდა, რომ „კრასნოდარი“ არა ჩემპიონატის ლიდერს, არამედ რიგით გუნდს ეთამაშებოდა.*

— ჩვენ ვიცოდით, რომ ძლიერ მეტოქეს გვიწევდა თამაში, მაგრამ არც ჩვენი გუნდია სუსტი. ეს ფეხბურთია და კიდეც რომ წაგვეგო, არაფერი საშიში არ იქნებოდა — ვის არ წაუგია. საერთოდ, მოედანზე უნდა გახვიდე და ბოლომდე ითამაშო. კარგია, რომ ამ შემთხვევაში ასე მოხდა.

*— მსაჯობაზე იტყვით რამეს?*

— ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებ.

*— მწვრთნელს არ მოუცია დავალება, რომ ვაგნერ ლავის წინააღმდეგ პერსონალურად გეთამაშათ?*

— ასეთი დავალება არ ყოფილა. საჭირო იყო დუმბიასთან და ლავთან მჭიდროდ გვეთამაშა, ხოლო პერსონალურ დავალებებს ფეხბურთში დიდი ხანია აღარ იძლევიან.

*— რას იტყვით გაზონთან დაკავშირებით. ცსკას ფეხბურთელებს არ მოეწონათ და მატჩის შემდეგ უკმაყოფილებაც გამოთქვეს.*

— გაზონი არც ჩვენ არ მოგვეწონა და ასეთი რამ სეზონში პირველად მოხდა. **მ. ჟ.**

# ვუჩინიჩი ბებერი ქალბატონია

გადაწყვეტილი ამბავია — მირკო ვუჩინიჩი „იუვენტუსის“ ფეხბურთელია! 27 წლის მონტენეგროელმა თავდამსხმელმა ტურინში სამედიცინო შემოწმება გაიარა და „ბებერ ქალბატონთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„იუვენტუსმა“ ვუჩინიჩის ხელში ჩასაგდებად ზუსტად ერთი თვე იბრძოლა და საბოლოოდ, როგორც იქნა, „რომასთან“ შეთანხმებას მიაღწია. „ჯალოროსი“ „იუვესგან“ 15 მილიონ ევროს მიიღებს, ვუჩინიჩის ხელფასი კი წელიწადში 3 მილიონი იქნება. მირკო ტურინული გრანდისთვის რიგით მეექვსე შენაძენია. შეგახსენებთ, რომ “ბებერმა ქალბატონმა“ მანამდე პირლო, პაციენცა, ციგლერი, ლიხტშტაინერი და ვიდალი გადაიბირა.

ალსანიშნავია, რომ ვუჩინიჩს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავდა. მისი გადაბირება მიუნხენის “ბაიერნს“, “ტოტენჰემს“ და ლონდონის “არსენალს“ სურდათ.

— ვუჩინიჩი შესანიშნავი თავდამსხმელია. მე მას დიდი ხანია ვაკვირდები და სანამ „იუვენტუსის“ მთავარ მწვრთნელად დავინიშნებოდი, ჯერ კიდევ მაშინ ვფიქრობდი, რომ თუ ახლო მომავალში რომელიმე გრანდში დამნიშნავდნენ, მის გადაბირებას ვეცდებოდი. მიხარია, რომ “რომასთან“ შეთანხმებას მივაღწიეთ და მირკო ხელში ჩავიგდეთ. ვუჩინიჩი ჩვენი გუნდის წინა ხაზს მნიშვნელოვნად გააძლიერებს“, - აცხადებს „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ვუჩინიჩი „იუვენტუსის“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზე არ ყოფილა. ტურინელებს მასზე მეტად სერხიო აგუეროს (ატლეტიკოდან) ან ჯუზეპე როსის (ვილიარეალიდან) გადაბირება სურდათ, მაგრამ ვერც ერთის ყიდვა ვერ მოახერხეს. აგუერომ „იუვენტუსში“ გადასვლა თვითონ იუარა, როსი კი „ვილიარეალმა“ აღარ დათმო. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის ჩაგდების შემდეგ, კლუბის მთავარმა ბოსმა ანდრეა ანიელიმ კონტეს ტრანსფერებისთვის 100 მილიონი ევრო გამოუყო. ამ თანხის ნახევარზე მეტი კი უკვე დახარჯულია. **მ. ჟ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე, შვილები, ძმები, რძლები, სიძე, ძმისშვილები, შვილიშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (საშა) სერგოს ძე ნასყიდაშვილი**

პანაშვიდი: 2, 3 აგვისტოს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 4 აგვისტოს, 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, ვაზისუბანი, IV მიკრორაიონი, I კვარტალი, მე-14 კორპუსი, V სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

საერთაშორისო

# სირიაში საომარი მოქმედება გრძელდება



სირიის ჯარებმა ქალაქ ჰამაზე იერიშები განაახლეს. კვირას ქალაქში სირიის სამთავრობო ჯარებისა და ამბოხებულთა დაპირისპირების შედეგად 100-მდე ადამიანი დაიღუპა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, არმია ქალაქში ქუჩების ბარიკადებისაგან გასაწმენდად გაგზავნეს.

კვირას საერთო ჯამში ანტისამთავრობო გამოსვლების ჩახშობის მცდელობამ მთელს სირიაში 130 ადამიანი იმსხვერპლა. ორშაბათს მუსლიმანთა წმინდა თვე, რამადანი დაიწყო.

საპროტესტო გამოსვლების ლიდერმა ომარ ჰამაუიმ ასოშიეიტედ პრესის ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ ორშაბათს ჰამას ტანკების უწესრიგო სროლა გაუხსნეს. დაიღუპა ოთხი ადამიანი. პრეზიდენტ ბაშარ ასადის პოლიტიკით უკმაყოფილო ოპოზიციის გამოსვლები მიმდინარე წლის მარტში დაიწყო. გასული კვირა მარტის შემდგომი პერიოდის ყველაზე სისხლიან ეპიზოდად იქცა.

მიმომხილველების თქმით, მთავრობის მიერ ტანკების გამოყენების მიუხედავად ქალაქ ჰამას უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლს ექვემდებარება. მოქალაქეებმა ქალაქ ჰამას მახლობლად მრავალი ბლოკპოსტი გამართეს, გარდა ამისა, ჯარების მომარაგების შეფერხების მიზნით გზები გადაკეტეს.

უცხოელ ჟურნალისტებს სირიაში არ უშვებენ, ამიტომ ამ ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროებით დადასტურება ვერ ხერხდება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შორეული პერსპექტივაც კი არ არსებობს.

ჰეიგის თქმით, დიდი ბრიტანეთი ამ პოზიციას გაეროს მიერ სირიის საქმეებში სამხედრო ჩარევის მხარდაჭერის შემთხვევაშიც შეინარჩუნებს.

როგორც ჰეიგმა განაცხადა, ოფიციალური ლონდონი სირიის ხელმძღვანელობაზე უფრო მძლავრ საერთაშორისო ზეწოლას უჭერს მხარს. სირიაში არსებული ვითარების მკაცრი შეფასებით აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამაც გამოვიდა. ობამას თქმით, იგი შეძრა იმ სისასტიკემ, რითაც სამთავრობო ჯარები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

დამასკოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებმა სირიის მთავრობის განცხადებებს, ტანკები ქალაქში ბარიკადების გასაწმენდად შევიდნენო, ნონსენსი უწოდეს და განაცხადეს, რომ ჰამაში მიმდინარე მოვლენები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სირიის მთავრობის სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენს.

სირიის ხელისუფლების მოქმედება მკაცრად გააკრიტიკეს აგრეთვე საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლებმაც. იტალიის მთავრობამ სირიასთან დაკავშირებით საერთო პოზიციის შესამუშავებლად გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის რაც შეიძლება სწრაფად გამართვისაკენ მოუწოდეს.

# ვენესუელის პრეზიდენტმა თავი გადაიხოტრა



ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში, ორშაბათს, გადახოტრილი თავით გამოჩნდა. თავზე მას გარკვევით ეტყობოდა ქიმიოთერაპიის შედეგად თმაგაცვენილი, უფრო ნათელი ლაქები.

57 წლის უგო ჩავესი მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე მუქი კოსტუმით და წითელი ჰალსტუხით გამოცხადდა. როგორც ჩავესმა განაცხადა, ქიმიოთერაპიის შემდეგ თმის დაკარგვა კარგი ნიშანია, რაც მიანიშნებს, რომ მედიკამენტები სიმსივნის უჯრედების წინააღმდეგ წარმატებით იბრძვიან.

— ეს ჩემი ახალი სახეა, — გაიხუმრა პრეზიდენტმა და თავისი ბავშვობისდროინდელი ფოტოსურათი წარმოადგინა, სადაც იგი ახლადამოწვერილი თმით არის გადაღებული, — ბავშვობას ვუბრუნდები.

მას შემდეგ, რაც ჩავესმა განაცხადა, რომ კიბოთი იყო ავად, მისმა ოპონენტებმა მოსაზრება გამოთქვეს, რომ ვენესუელის პრეზიდენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მომავალ არჩევნებში მონაწილეობას ვერ შეძლებდა.

მიუხედავად ამისა, ბოლო დროს ჩავესი საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურება.

უგო ჩავესის თქმით, ანალიზებმა მის ორგანიზმში სიმსივნის უჯრედების არსებობა არ დაადასტურეს, თუმდა იგი პროფილაქტიკის მიზნით ქიმიოთერაპიის კიდევ ორი კურსის გავლას აპირებს.

ვენესუელის პრეზიდენტს არ დაუდასტურებია, თუ რა სახის კიბოს წინააღმდეგ გადიოდა იგი მკურნალობის კურსს, ამასთან უარყო ხმები, თითქოს სწორი ნაწილავის, ან შარდის ბუშტის კიბო ჰქონდა.

მინისტრთა კაბინეტის ახალი წევრების მიერ ფიცის დადების ცერემონიალს სამი მინისტრი არ დაესწრო, რადგან ჩავესის თქმით, მათ გრიპი ჰქონდათ და პრეზიდენტს ინფიცირების რისკი თავიდან აარიდეს.

ავადმყოფობის განმავლობაში უგო ჩავესმა ძლიერ დაიკლო წონაში. გარდა ამისა, განაცხადა, რომ ორმოცი ფინჯანი ყავის ნაცვლად დღეში მხოლოდ ორ ფინჯან ყავას სვამს, ყავის ნაცვლად უფრო გვირილას ნახარშს და მწვანე ჩაის ამჯობინებს, ჰოთდოგების ნაცვალად კი ბურღულსა და ღერღილის პურს ამჯობინებს. გასულ თვეში უგო ჩავესმა, რომელიც მკურნალობის კურსს კუბაში გადიოდა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნის პერიოდში უფლებამოსილების ნაწილი ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტს დაუთმო.

# ამურის კომსომოლსკში საბავშვო ბაღის აფეთქებაში ეჭვმიტანილი დააკავეს

რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ამურის კომსომოლსკში, დაკავებულია საბავშვო ბაღში აფეთქების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი პირი. აფეთქების შედეგად ხუთი წლის გოგონა დაშავდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის მუხლით.

სამშაბათს დილით საბავშვო სახლის ვერანდაზე ხუთი წლის გოგონას ხელში კოლოფი აუფეთქდა, რომელიც საჩუქრების ლენტით იყო შეკრული.

სავარაუდოდ, კოლოფში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო, რომლის სიმძლავრე ტროტილის 7 გრამის ეკვივალენტს შეადგენდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მავთულის ნაჭრებით და ლურსმნებით იყო დატენილი. აფეთქების მომენტში შორიახლოს რამდენიმე ბავშვი და ერთ-ერთი მათგანის დედა იმყოფებოდა.

ბავშვმა თვალის დამწვრობა მიიღო და იგი ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. ექიმები მის მდგომარეობას აფასებენ, როგორც საშუალო სიმძიმისას.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სადამდე გაძლებს „სიონი“

რამდენიმე დღეც და საქართველოს 23-ე ჩემპიონატიც დაიწყება. რა თქმა უნდა, ისევ ახალი ფორმატითა და შიშით — ვაითუ რომელიმე გუნდმა გრძელი მარათონი უფინანსობის გამო ვერ ჩაამთავროს.

უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა ახალი საფეხბურთო სეზონისთვის ნაყოფიერად ემზადება. რატომ უმრავლესობა? ბოლნისის „სიონის“ გარდა ყველა დანარჩენმა გუნდმა ერთი-ორი უცხოური შეკრება გაიარა. „სიონმა“ კი ვარჯიში სულაც ერთი კვირის წინ დაიწყო და სწორედ ეს გუნდი ბადებს ყველაზე მეტ კითხვას მომავალ სეზონში. პირველ რიგში, ექნება თუ არა გუნდს სეზონის მანძილზე ის ფინანსები, რომ ეროვნული ჩემპიონატი ჩაამთავროს. ცხადია, იმას აღარ ვკითხულობთ, თუ რა მიზნები ექნება ამ ქვემოქართლურ გუნდს ახალ სეზონში.

მართალია, ჩემპიონატის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებია დარჩენილი და სატრანსფერო ფანჯარაც ჩვენთან აგვისტოს ბოლომდეა, მაგრამ საკითხავია, თუ ვინ ისურვებს ბუნდოვანი ფინანსური მდგომარეობის მქონე გუნდში თამაშს. ანუ, არ არის გამორიცხული, რომ სეზონის დაწყებამდე „სიონმა“ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატოს, მაგრამ ასეთ მოკლე პერიოდში რამდენად რეალურია კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, მართლაც ძნელი სათქმელია. ან რა მომსვლელზეა საუბარი, როდესაც გუნდი უკვე დატოვეს დავით ლომაიამ, ირაკლი ჩირიკაშვილმა, რევაზ ჯიქიამ, სერგი ორბელაძემ, კობა შალამბერიძემ, მირზა მერლანმა, მინდია ბობლიაშვილმა, ალექსანდრე გოგობერიშვილმა, ლაშა ნოზაძემ, გივი დიდავამ, ნიკოლოზ კვასხვაძემ, გიორგი მელქაძემ, ვლადიმერ ზუხბაიამ, ლაშა ვაშაკიძემ, ლევან სანიკიძემ, გიორგი ქუცურუამ, გიორგი ჩივაძემ, ვაჟა ქორიძემ...

„სიონმა“ მზადება სოფელ რატევანში დაიწყო, შაბათს კი პირველი საკონტროლო მატჩიც გამართა. „სიონის“ მეტოქე საქართველოს თასის მფლობელი „გაგრა“ იყო. ლევან შარიქაძისა და შალვა კვანტალიანის გოლებით „გაგრამ“ 2:0 გაიმარჯვა. „სიონს“ ამ შეხვედრაში ჯონი ჯაგიდისი და ვახტანგ ჩაგელიშვილი მოძღვრავდნენ და ახალ სეზონშიც, ალბათ, ეს დუეტი გაუძღვება ბოლნისურ კლუბს. **მ. ჟ.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 3 აგვისტო**

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი „უძველესი აღმოჩენები„ 08.30 ან. ფილმი „ცეროდენა მაშველები„ 09.00 სათავგად. ფილმი „მეფე სოლომონის საბადოები„ 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 მეხსიერება 14.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. „დღეები ლეონესთან ერთად„ 17.00 ან. ფილმი „ცეროდენა მაშველები„ 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.05 დოკ. ფილმი „რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა„ 21.00 სერ. „დღეები ლეონესთან ერთად„ 22.00 ევროპული არჩევანი 23.30 აივანი 00.00 მხ. ფილმი „შიშის ფასი„ (12) (ბ. აფლეკი) 02.10 მოამბე 02.30 ევროპული არჩევანი 04.00 ჩვენი ეზო 05.00 მხ. ფილმი „სტეფორდელი ცოლები„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი „იმპერიის მშენებლობა„ 20.00 მხ. ფილმი „დივებს ხოცავენ არა„ 01.00 მხ. ფილმი „კარს მომდგარი მტერი„

08.00 კურიერი 08.30 ან. ფ. „ტრანსფორმერები„ 08.40 ან. ფ. „ეშმაკური ლიგა„ 09.00 სერ. „მაშველები„ 10.00 სერ. „ცოდვილი„ 11.00 სერ. „მიმწყვდეული„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 ქართ. ფილმი „ნატვრის ხე„ 14.30 კიტანოს ციხესიმაგრე 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. „ავრორა„ 18.45 სერ. „ქალის მსხვერპლი„ 19.45 სერ. „ახალგაზრდა ქვრივი„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 მხ. ფილმი 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი „ელ ტიგრეს თავგადასავალი„ 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 09.15 საბ. სერ. „მონსტრებთან მებრძოლები„ 10.00 სერ. „ლამაზი სიცოცხლე„ 11.40 სერ. „სიყვარულის ზღვა„ 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. „მეტოქეები„ 17.40 სერ. „სიყვარულის ზღვა„ 18.40 სერ. „როცა სიყვარული მოდის„ 21.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 22.00 ყოფილი ცოლების კლუბი 23.00 ბათუმი ლაივი 00.00 მხ. ფილმი “ოთხი ოთახი„ (15) (ა. ბადერასი) (სუბტ.) 02.10 მხ. ფილმი „კონტროლი„ (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) 03.50 მხ. ფ. „უცხოპლანეტელი 3„ (ს. უივერი) (სუბტ.)

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ პირდ. 13.00 „მზესუმზირა„ (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ პირდ. 15.30 ფარული კამერა 16.00 სერ. „პოლიციელთა ამბები„ 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ პირდ. 22.30 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ დღიური 23.30 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ პირდ. 04.00 რეალითი-შოუ „მზის სახლი„ დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. „სოფია, ცოტა მადროვე„ 10.30 დოკ. ფ. „ქალაქის ხედები„ 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. „სინდისის საკითხი„ 12.50, 19.35 სერ. „მეგობრები„ 15.15 სერ. „განებივრებული ლამაზმანი„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 „დიდ ხარ შენ უფალო„ 09.05 დილის პროგრამა „განთიადი„ 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 10.55 დოკ. ფილმი „სტუმრად პატრიარქთან„ 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ. „ლუკას სახარება„ 13.30 კონცერტი— ლუჩანო პავაროტი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფ. „ყვავილი თოვლზე„ 16.30 დოკ. ფ. „ველური ბუნება„ 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 „დიდ ხარ შენ უფალო„ 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფ. „გაზაფხული გადის„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 მოკლ. ფილმი „ადგილის დედა„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა (გაგრძ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6688
- ევრო —2,3929
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721
- რუსული რუბლი — 0,0598

## ამინდის პროგნოზი 3 აგვისტოსთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 39-3§, ღამით — 18-22

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 29-21

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 39-31, ღამით — 14-17





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **ფასი: 69 თეთრი**

# გუმბათი

**„რა სასწაული იხილა ნუგზარ კვაშალმა ლიკანში“**

ნანული სარაჯიშვილი:
**„ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, მოხუცთა თავშესაფარი ავაშენო“**

**იმედა კახიანმა მე-8 საუკუნის საყდარი აღადგინა**





## ახალი ზელანდიის საბოლოო შემადგენლობა 22 აგვისტოს დასახელდება



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადებას აგრძელებს — „ბორჯღალოსნები“ ამჟამად კვლავ კანის მახლობლად, მანდელიე დე ნაპოლში იმყოფებიან და დღეში 2-3 ვარჯიშს მართავენ. ოცდათორმეტივე მორაგბე თავს კარგად გრძნობს, რამდენიმე მათგანს უმნიშვნელო მიკროტრავმები აქვს.

6 აგვისტოს ნაკრები ქალაქ ისუარში მიემგზავრება, სადაც ორკვირიანი შეკრების ფარგლებში ორ საკონტროლო მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნები“ ელიტ 2-ის გუნდებთან ითამაშებენ — 13 აგვისტოს „ორიაკთან“ და 19 აგვისტოს „ბურგუენთან“ მოსინჯავენ ძალებს.

კანში ქართველი მორაგბეები 21 აგვისტოს ბრუნდებიან და ოცდაცხრამდე დასვენების პერიოდი ექნებათ. ამ მცირედი შესვენების შემდეგ დასახელდება იმ ოცდაათი კაცის სია, რომლებიც 22 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით მსოფლიო თასისთვის მზადების ბოლო შეკრებაზე შევა და ზელანდიაში ეროვნული მაისურის ღირსების დასაცავად გაემგზავრება. **მ. ჟ.**




# 27 ივლისიდან

# ჟურნალ „სარკესთან“

# ერთად გამოვა

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

# მე-2 ტომი




## ასტროპროგნოზი 3 აგვისტოსთვის

**ვერძი** — დღეს დაისვენეთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **კურო** — საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. **ტყუპები** — ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** — კონფლიქტური დღეა. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ლომი** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ. ყველა საქმე გამოგდით. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით სასიამოვნო სიახლე. **სასწორი** — ნუ გადაიღლებით. საკუთარ თავზე ზედმეტს ნუ აიღებთ. **მორიელი** — ფორტუნა გიღიმით. ყველაფერში წარმატება გელით. **მშვილდოსანი** — საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღებით მოეპყარით. არ დალიოთ. **თხის რქა** — თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ალკოჰოლი საქმეს უფრო გაამწვავებს. **მერწყული** — ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** — გადით ქალაქგარეთ. იმუშავეთ ბაღში. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 2. სამკითხაო ქვიშა; 3. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 4. ქართული ხალხური ცეკვა; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 12. ამერიკელი ველოსიპედისტი „ტურ-დე-ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებული; 14. რეგიონი კახეთში; 15. ფირმა „კოდაკის“ დამფუძნებელი; 17. აეროპორტი ოსლოში; 20. იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 5. მდინარე ვაშინგტონში; 6. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 8. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 10. მოკლელულიანი შაშხანა; 11. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 13. პერიოდულად ამოფრქვეული ცხელი წყლის წყარო; 16. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 18. ფრანგი მწერალი, ავანგარდისტი მხატვარი, კინორეჟისორი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 21. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 23. სამცხე-ჯავახეთის მმართველთა ტიტული.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

